ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

14 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა სამტომეულის მეორე ტომი
8 ლარი




ხუთშაბათი, 16 მაისი, 2013 №114 (6115) ფასი: 30 თეთრი

# შს მინისტრის მოადგილე ბელა ხვედელიძე 5 ათასიანი გირაოთი გაათავისუფლეს


გვ.2

## დავით საგანელიძე: „ჩემთვის ტალახის სროლა იოლად არ ჩაივლის“ გვ.3

დეპუტატი ნანა დევდარიანისა და შალვა ნათელაშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს



## სანდრო ბრეგაძე: „გეიაღლუმის უკან ბოკერია და მერაბიშვილი დგანან“ გვ.4





## პაატა ზაქარეიშვილი: „ტერიტორიული მთლიანობა სააკაშვილის წასვლის შემდეგ აღდგება“ გვ.5



## საიას სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეაქვს გვ.2



## სოზარ სუბარი: „ციხეში პატიმრების სიკვდილიანობამ იკლო“ გვ.5

## გოგა ხაჩიძე: „გია ხუხაშვილი სარეკლამო კომპანიებზე ზეწოლას ახორციელებს“ გვ.3



9 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ფროიდი
8 ლარი




ISSN 1987-9385

2 ვინ სარგებლობს უფასო იურიდიული მომსახურებით

7 ექიმები დიდი აქციისთვის ემზადებიან

2 შსს-მ ქურდული სამყაროს 12 წევრი დააკავა

6 ხელისუფლება ბიზნესის განვითარებისთვის არაფერს აკეთებს

# საიას სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეაქვს

შორენა გონგლაძე

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პრეზიდენტის წინააღმდეგ სარჩელს დაახლოებით ორ კვირაში შეიტანს. ამის შესახებ „პრაიმტაიმის" პრესკლუბში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ კახა კოჟორიძემ განაცხადა.**

მისივე განცხადებით, თუ პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება ზურა ვაზაგაშვილთან დაკავშირებით არ დამტკიცდება, მიხეილ სააკაშვილს მორალური ზარალის ანაზღაურება ფულადი ჯარიმის სახით მოუწევს.



– შაბათს პრეზიდენტმა სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა მტკიცებით ფორმაში, რომ ზურა ვაზაგაშვილს ჰქონდა ორი ავტომატი. ეს ყველაფერი მტკიცებით ფორმაში თქვა. მოცემულ მომენტში არ არსებობს ზურა ვაზაგაშვილთან დაკავშირებით გამამტყუნებელი განაჩენი. შესაბამისად, პრეზიდენტმა დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმპცია. მოსარჩელე მხარე არის ვაზაგაშვილის ოჯახი, რომელსაც საია იურიდიულ დახმარებას გაუწევს, – განაცხადა კახა კოჟორიძემ.

კოჟორიძე პრემიერ-მინისტრის განცხადებასაც გამოეხმაურა, სადაც ბიძინა ივანიშვილი საიას უფლებამოსილების გადაჭარბებაში ადანაშაულებს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე ამბობს, რომ გაუგებარია პრემიერ-მინისტრის განცხადება საია-ს მიერ უფლებების გადაჭარბების თაობაზე.

როდესაც მთავრობის პირის მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ მსგავსი ტიპის განცხადება კეთდება, საჭიროა დაკონკრეტება, – ამბობს კოჟორიძე.

კოჟორიძის თქმით, თუ ბიძინა ივანიშვილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკავებულ მაღალჩინოსნებზე ზეწოლის შესახებ განცხადებას გულისხმობდა, აქ უფლებების გადაჭარბება არ არის, რადგან საია-ს იურისტებმა მოუსმინეს დაკავებულებს და ის თქვეს, რაც იმათ უთხრეს.

ეს არის ჩვენი ჩვეულებრივი საქმიანობა და ვერ ჩაითვლება უფლებამოსილების გადაჭარბებად, – აცხადებს კოჟორიძე.

მისივე თქმით, თუ პრემიერი ბათუმში საია-ს წარმომადგენელს და ვალერიან თელიას შორის მომხდარ ინციდენტს გულისხმობდა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას არც აქ გადაუჭარბებია.

– ჩვენ ვაწვდიდით ინფორმაციას სამართალდამცავებს და რეაგირებას რომ ვერ ვხედავდით, ვაცხადებდით საზოგადოების წინაშე, – ამბობს კოჟორიძე.

კახა კოჟორიძე აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრს არ ექნებოდა დრო ბათუმის ინციდენტის შესწავლისთვის და ის, რომ საია ცუდად მოიქცა, გუნდის წევრებისგან იცის. კოჟორიძე აღნიშნავს, რომ საჭიროა მეტი სიზუსტე, როცა მსგავსი ბრალდება კეთდება სახელმწიფო პირის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის მისამართით.

შეგახსენებთ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საიამ გარკვეულ დროს საკუთარ უფლებებს გადააჭარბა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" გარკვეულ ეპიზოდებში საკუთარ უფლებებს გადააჭარბა. შეგახსენებთ, რომ ამის შესახებ პრემიერმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას „ექსპო ჯორჯიაში" განაცხადა, როდესაც მას კითხვა დაუსვეს საიას მიერ გავრცელებულ განცხადებაზე.

განცხადებაში საუბარი იყო, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკავებულ მაღალჩინოსნებზე პროკურორისა და გამომძიებლების მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობდა.

ივანიშვილის თქმით, სახელმწიფოს აქვს თავისი სტრუქტურები, ფუნქციები და საქმიანობა და არ არის საჭირო ზედმეტი აქცენტის გაკეთება იმაზე, რომ საიამ თქვა და „ქვეყანა უნდა აყირავდეს". პრემიერის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობომ გადააჭარბა თავის უფლებებს, ის არასამთავრობო სექტორის მხრიდან აქტიურობის მომხრეა.

– ოღონდ იაქტიურონ და თუნდაც გადააჭარბონ ამ უფლებებს", – აცხადებს ივანიშვილი და აღნიშნავს, რომ ანალიზს ამ ყველაფრის გარშემო საზოგადოება გააკეთებს. მინდა მივმართო საზოგადოებას, რომ ნუ წარმოვიდგენთ საიას ახალ სტრუქტურად, ეს არის სამოქალაქო საზოგადოების პატარა ნაწილი და მათ აქვთ აზრის გამოხატვის უფლება, ისევე, როგორც სხვა დანარჩენს, – განაცხადა ივანიშვილმა.

# შს მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძე 5 ათასიანი გირაოთი გაათავისუფლეს

შორენა გონგლაძე

თბილისის საქალაქო სასამართლომ შს მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილეს გელა ხვედელიძეს, რომელიც 12 მაისს ინტერნეტით პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების ბრალდებით დააკავეს, 5 000 ლარის ოდენობით გირაოს გადახდა დააკისრა. საქალაქო სასამართლო შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილის გელა ხვედელიძისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების მიზეზებს განმარტავს.

როგორც საქალაქო სასამართლოში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სასამართლოს პრესსპიკერმა ეკა არეშიძემ განაცხადა, გელა ხვედელიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებულს ბრალად ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული. კერძოდ, არეშიძის თქმით, ხვედელიძე წარსულში არ არის ნასამართლევი, ამასთან, პროკურორის მიერ სათანადოდ ვერ იქნა დასაბუთებული ყველაზე უფრო მკაცრი სახის აღმკვეთი ღონისძიების – პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა.

„სასამართლომ მიიჩნია, რომ გირაოს გამოყენების პირობებშიც მიღწეულ იქნება აღმკვეთი ღონისძიების მიზნები – კერძოდ, ბრალდებულის სათანადო ქცევა, მისი გამოცხადება სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოებში, ის, რომ ბრალდებული არ გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას და არ მოახდენს მტკიცებულებათა განადგურებას, – განაცხადა არეშიძემ.

როგორც მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, ბრალდების მხარე გაასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

ხვედელიძეს ბრალად ედება სისხლის სამართლის 157-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს პირადი საიდუმლოს უკანონოდ გავრცელებას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ჩაიდინა პირმა, რომელსაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ევალებოდა ამ საიდუმლოს დაცვა. ეს ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.



შეგახსენებთ, რომ შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 12 მაისს მისი პირველი მოადგილის დაპატიმრებასთან დაკავშირებულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ გამოძიებით დადგინდა, რომ გელა ხვედელიძემ, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ უკანონო თვალთვალის გზით მოპოვებული ჩანაწერების არქივს კურირებდა, პირთა სექსუალური ურთიერთობის ამსახველი ვიდეომასალა ინტერნეტში „შურისძიების" მიზნით გაავრცელა იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ბოლო დროს ხვედელიძეს ბრალდებებს უყენებდა.

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 14 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გელა ხვედელიძის დაკავებით, მთავრობამ აჩვენა თავის ხელწერა, რომ მიუხედავად თანამდებობისა, „კანონის წინაშე ყველა უნდა ვიყოთ თანაბარი".

ხვედელიძის საქმეზე წინასასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2 ივლისს გაიმართება.

# ვინ სარგებლობს უფასო იურიდიული მომსახურებით

შორენა გონგლაძე

**14-15 მაისს თბილისში, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, ლიტვისა და ბულგარეთის იურიდიული დახმარების სამსახურების წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს. ქართველმა და უცხოელმა იურისტებმა თავიანთ ქვეყნებში უფასო სამართლებრივი დახმარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დაფინანსებისა და ადმინისტრირების საკითხები განიხილეს. შეხვედრა „ღია საზოგადოება — სამართლებრივი ინიციატივის" ორგანიზებით ჩატარდა.**

საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, მელიტონ ბენიძემ, აღმოსავლეთევროპელ კოლეგებს გააცნო ის რესურსები, რაც სამსახურს გააჩნია საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განსახორციელებლად. სამსახურის სხვა წარმომადგენლებმა კი ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა უფასო სამართლებრივი დახმარების ბენეფიციართა და მათი სოციალური მდგომარეობის დადგენის მექანიზმები, ასევე – საზოგადოებრივ ადვოკატთა საქმიანობის შეფასების სისტემა.

ყოველწლიურად, საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობით, ათასობით მოქალაქე უფასო საადვოკატო მომსახურებითა და იურიდიული კონსულტაციებით სარგებლობს. ბოლო წლებში, საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით ჩატარებული კვლევების თანახმად, მიღებული სერვისებით კმაყოფილება და სამსახურის მიმართ საზოგადოების ნდობა საკმაოდ მაღალია.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, საქართველოში მოქმედი იურიდიული დახმარების მოდელი პოსტსოციალისტურ სივრცეში სამაგალითოდ ითვლება. ქართველი სპეციალისტები საკუთარ გამოცდილებას უცხოელ კოლეგებს სხვადასხვა ფორმით უზიარებენ: 2011-12 წლებში, სამართლებრივი დახმარების ქართული მოდელის შესასწავლად თბილისს ყაზახეთის, იორდანიის, ინდონეზიისა და უკრაინის დელეგაციები სტუმრობდნენ. გარდა ამისა, 2012 წელს, საქართველოს ინიციატივით მიიღეს საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც გაერო-ს წევრ-სახელმწიფოებს სისხლის სამართლის საქმეებში უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ავალდებულებს.

იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელი წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სისტემას, რომელიც აერთიანებს უფლებადამცველებსა და სამართლებრივი დახმარების სფეროს წარმომადგენლებს საქართველოდან, უკრაინიდან, მოლდოვიდან, ლიტვიდან, ბულგარეთიდან და მონღოლეთიდან. აღნიშნულ ქვეყნებში იურიდიული დახმარების სამსახურები „ღია საზოგადოება – სამართლებრივი ინიციატივის" აქტიური ძალისხმევით ჩამოყალიბდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის ივნისში მიიღო კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ", რომლის მომზადებაში ფონდიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

# შსს-მ ქურდული სამყაროს 12 წევრი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საქართველოს მასშტაბით ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, სამეგრელოში, იმერეთსა და თბილისში ერთდროულად, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი, ქურდული სამყაროს 12 წევრი დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულთა შორის ერთი არასრულწლოვანი – კახა მ. და ერთი ქალბატონი – თამარ ძ., არიან.

დაკავებულები არიან ასევე – რეზო ხ., ვლადიმერ ხ., შალვა ჯ., ელიზბარ დ., ლაშა თ., თამაზ მ., ლევან ხ., ირაკლი ც., მაიზერ ბ. და ნიკოლოზ ბ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ე. წ. ქურდულ სამყაროს აღიარებენ და სხვადასხვა სარგებლის მიღების მიზნით, ქურდული კანონების შესაბამისად, სპეციალური წესების დაცვით მოქმედებდნენ და მიზანმიმართულად ცდილობდნენ ქურდული სამყაროს ინტერესების საზოგადოებაში დანერგვასა და განმტკიცებას. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე. წ. კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ისინი ქურდული სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი პირებისგან კონკრეტულ დავალებებს იღებდნენ და ასრულებდნენ.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის ფაქტზე სსკ-ს 223-პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს

ნიუსპრესი

## ფსიქოტროპულ აფთიაქებში წამლების ურეცეპტოდ გაყიდვის გამო 20-მდე შპს-ს ხელმძღვანელი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტებზე 20 შპს-ს ხელმძღვანელი პირები გამოავლინეს.

საგამოძიებო სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისში მდებარე ფსიქოტროპულ აფთიაქებში, მედიკამენტები შესაბამისი რეცეპტის გარეშე, სისტემატურად იყიდებოდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## საქართველო-აფხაზეთის დე-ფაქტო საზღვარზე ორი ახალი გამშვები პუნქტი გაიხსნა

გალის რაიონში, საქართველოს და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელმწიფო დე-ფაქტო საზღვარზე, ორი ახალი გამშვები პუნქტი გაიხსნა.

აფხაზური ტელევიზიის ცნობით, გალის რაიონის სოფელ ოტობაიასა და ნაბაკევში, „სასაზღვრო კონტროლს," რუსეთის და აფხაზეთის „სასაზღვრო ძალების" თანამშრომლები ერთობლივად განახორციელებენ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით საგანელიძე: „ჩემთვის ტალახის სროლა იოლად არ ჩაივლის“

## დეპუტატი ნანა დევდარიანისა და შალვა ნათელაშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, დავით საგანელიძე ბოლო დროს რამდენიმე შარში გაეხვია .ვრცელდება ინფორმაციები რომ მისი ძმისშვილი დავით კეზერაშვილის ბიზნესს ჩაუდგა სათავეში. ხმაური იყო სადაზღვევო კომპანია „არქიმედე გლობალ ჯორჯიაზეც“. რომლის ერთ-ერთი დირექტორი დეპუტატის ძმისშვილი გიორგი საგანელიძეა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ძმისშვილის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას აქამდე მშვიდად უყურებდა, მაინც დინჯი რაჭველია. მერე მასაც აევსო მოთმინების ფიალა და ბრალდებების დამტკიება მოითხოვა. მტკიცებულებების პარალელურად ის ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანისგან, ექიმ გია ნიშნიანიძისა და „ლეიბორისტების“ ლიდერ შალვა ნათელაშვილისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს.

– პრესაში რამდენჯერმე ჩემი გვარი იქნა გაჟღერებული და მინდა, რომ მათ ვუპასუხო. ვიტყვი, რომ ეს არის ბრალდებების ტალღა აგორებული და სამწუხაროდ, ამაში ზოგიერთი ჟურნალისტიც ძალიან აქტიურად ჩაება. ამის დრო უნდა დამთავრდეს. მესმის, რომ როცა მასალა არსებობს უნდა დაიდოს, მაგრამ ვიდრე ჩემს სახელსა და გვარს ახსენებდნენ და თუ ვინმეს რაიმეზე ეჭვი აქვთ, ღიად მოიტანოს ყველაფერი და დადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე იძულებული ვიქნები დავიცვა ჩემი სიმართლე, – აღნიშნა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დავით საგანელიძემ.

მისი განმარტებით, სადაზღვევო კომპანია „არქმიედე გლობალ ჯორჯიას“, რომელიც დაახლოებით, 5 წლის წინ დაფუძნდა საქართველოში.

– ეს გახლავთ ტრანსნაციონალური კომპანია და საქართველოში მისი ერთ-ერთი ფილიალი 5 წლის წინ დაარსდა, რომლის ერთ-ერთ დირექტორად და არა გენერალურ დირექტორად ჩემი ძმისშვილი გიორგი საგანელიძე დაინიშნა, რომლითაც მე ძალიან ვამაყობ, რადგან მას აქვს ძალია კარგი განათლება საზღვარგარეთ მიღებული და ამ დარგის სპეციალისტად ითვლება. ზოგიერთი ყოფილი პოლიტიკოსი თუ ყოფილი ექიმი, ამტკიცებს, რომ თურმე ხდება წილების გადანაწილება და კეზერაშვილის კომპანია „არქმიედე“ დავით საგანელიძის ძმისშვილზე გადაფორმდა. გიორგი ამ კომპანიაში დაარსების დღიდან მუშაობს. მას არანაირი მონაწილეობა კომპანიის აქციებთან არ აქვს. მე მის საქმიანობაში არ ჩავრეულვარ, მხოლოდ ახლა ჩავერიე, რადგან მან განაცხადა, რომ ამ ცილისწამების შემდეგ სურს კომპანია დატოვოს. მე კატეგორიული უარი ვუთხარი, რადგან არ უნდა აჰყვეს იმას, რომ ვიღაცეები ცდილობენ, რომ ტალახი მესროლონ და ჩირქი მომცხონ, – აღნიშნა დეპუტატმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, როგორც უკვე ვთქვით მტკიცებულებების დადებას და ბოდიშის მოხდას ითხოვს.

– ვინც ამ ინფორმაციას ავრცელებს, მათ ვთხოვ, რომ მოვიდნენ და თუ რაიმე ინფორმაცია აქვთ, აქ დადონ. ნანა დევდარიანსა და მიხაილოვის საავადმყოფოს მთავარ ექიმს გია ნიშნიანიძეს, რომლებიც ამას აცხადებენ, მოვუწოდებ, რომ თუ რამე ინფორმაცია აქვთ, მოიტანონ და აქ დადონ თქვენთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოდიში მოიხადონ. მათ ნუ ჰგონიათ, რომ შეუძლიათ დავით საგანელიძეზე ან ნებისმიერ სხვაზე რამე თქვან, ტალახი ესროლონ და ეს ასე ჩაივლის. ნათელაშვილმა განაცხადა, რომ 730 მილიონი დოლარი ამ კომპანიას ჩაურიცხეს, რადგან იქ ჩემი ძმისშვილი მუშაობს. 730 მილიონი მთელი ჯანდაცვის ბიუჯეტია. მე ვიცი, რომ თქვენ ციფრებში კარგად ერკვევით და თანხები კარგად იცით, რა როგორ და რანაირად, ამიტომ აქაც გაერკვიეთ, ვიდრე ასეთ ფრაზებს წამოისვრით. თქვენც კეთილი ინებეთ, ან საბუთები წარმოადგინეთ, თუ არადა ბოდიში მოიხადეთ, – განაცხადა საგანელიძემ.

# გოგა ხაჩიძე: „გია ხუხაშვილი სარეკლამო კომპანიებზე ზეწოლას ახორციელებს“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში დღეს ყველა გია ხუხაშვილზე საუბრობს. ყველაფერი მის სახელს უკავშირდება. ამინდის გაფუჭებაც კი მას ბრალდება. „დიდი ხუხას“ აჩრდილი პარლამენტშიც გამოჩნდა. მასზე საუბარი წინა სასესიო კვირაში გოგა ხაჩიძემ დაიწყო. მაშინ ეკა ბესელიამ დაასკვნა, რომ ხუხაშვილი ხაჩიძის ახალი მუზა იყო. ბესელია მართალი აღმოჩნდა. დეპუტატმა ყოვილისშემძლე ხუხა გუშინაც ახსენა.

გოგა ხაჩიძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გია ხუხაშვილი სარეკლამო კომპანიებზე – „აუთდორ.ჯი“ და „მედია პორტი“ ზეწოლას ახორციელებს.

– არსებობენ სარეკლამო ბაზარზე მოღვაწე კომპანიები „აუთდორ ჯი და მედია პორტი“. ამ კონკრეტულ კომპანიებზე პრემიერის მრჩევლის მიერ ხორციელდება ინტენსიური და კონკრეტული ზეწოლა, ბიზნესის წართმევასთან დაკავშირებით. წართმევა ჰქვია იმას, როდესაც დაახლოებით, 12 მლნ-იან ბიზნესში სთავაზობენ 2 მლნ-ის გადახდას და ისიც მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც თვითონ ეს ბიზნესი ამოიღებს ამ აღნიშნულ თანხას. ჩამოყვანილია ერთ-ერთი ბიზნესმენი, სავარუდოდ, რუსეთიდან – გიორგი ღამბაშიძე, რომელსაც ცალკე განვიხილავ, ძალიან უცნაური მოსაზრებები აქვს თავის ოფიციალურ ბიოგრაფიაში ჩამოყალიბებული. მისი მთავარი კრედო ყოფილა „მიზანი ამართლებს საშუალებას“. თუმცა ამ შემთხვევაში მე კონკრეტული ბიზნესმენის კრედოები არ მაინტერესებს. მინდა, მივმართო უშუალოდ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს მისი მრჩევლის შესახებ. შეიძლება, მასთან არასწორად მიდის ინფორმაცია და ამის რამდენიმე მაგალითი არსებობს უკვე, ვიღაცა ალამაზებს ამა თუ იმ ინფორმაციას, თუმცა დანამდვილებით შემიძლია გადავცე მას, რომ კონკრეტულ კომპანიებზე ხორციელდება ზეწოლა ბიზნესის წართმევის მიზნით. რამდენჯერმე იყო საუბარი პრემიერისგან, რომ ბატონი ხუხაშვილი დაეხმარა მას და სახელმწიფოს, რომ სახელმწიფო ბიზნესები უკან დაბრუნებულიყო. ეს არის კონკრეტული კერძო ბიზნესები, არანაირი შეხება მათ სახელმწიფოსთან არ გააჩნიათ. ეს არის კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როგორ გათავისუფლდა ბიზნესი და როგორ არ მიდის მასზე ზეწოლა, – განაცხადა პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე გოგა ხაჩიძემ.

ორიგინალური გამოსვლა ჰქონდა ქართული ჯარის მეგობარ ნუგზარ წიკლაურს. დეპუტატმა კოლეგებს პრეზიდენტობის კანდიადტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებები წაუკითხა. წიკლაური ამტკიცებს, რომ მარგველაშვილი ივანიშვილის რუსული პროექტია.

– რამდენიმე ამონარიდი მინდა, გაგაცნოთ ინტერვიუდან: „ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში მოსვლა რუსეთის სახელისუფლებო წრეებში შეთანხმებული პროექტია“; „ივანიშვილი წარმოადგენს რუსეთის ხელისუფლების ქართულ პოლიტიკაზე ზემოქმედების მშვიდობიან და პოზიტიურ ვარიანტს“; „რუსეთი გვთავაზობს, უფრო სწორად, ცივილიზებულ სამყაროს სთავაზობს ე.წ. შოფტ ოწერ შოლუტიონ-ს, არა ტანკებით, არამედ ქართულ პოლიტიკაში წარმოდგენას მისთვის მისაღები ძალით“; „ივანიშვილი საინტერესოა ჩემთვის მაშინ, თუკი ის ქართულ პოლიტიკაში რუსული პოლიტიკის ცივილიზებული ფორმით წარმომდგენია“. კოლეგებო, არ მინდა, იფიქროთ, რომ ეს გამონათქვამები ეკუთვნის ვინმე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს და არ მინდა, იფიქროთ ისიც, რომ ეს არის მოგონილი, როგორც იცით ხოლმე თქმა. ეს გამონათქვამები ეკუთვნის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს, ბატონ მარგველაშვილს. მის წარდგენას „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრების მხრიდან ენით აღუწერელი ქება და დიდება მოჰყვა და ჩემთვის ნიშანდობლივი იყო, რომ კოალიციაში შემავალმა ყველა პოლიტიკურმა ძალამ ერთნაირად დადებითად და ხბოს აღტაცებით შეაფასა ბიძინა ივანიშვილის ეს გადაწყვეტილება. იყო გამონათქვამები, რომ ეს იყო იდეალური ვარიანტი და საუკეთესო კანდიდატი, ვინც კი ჰყავდა კოალიციას. მე მინდა, ვკითხო „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებს, ასევე, „რესპუბლიკელებს“, რომლებიც დროს არ გაუშვებენ არასდროს, რომ თავიანთ მისწრაფებებზე თავისუფალი სამყაროს მიმართ ისაუბრონ. თქვენ ეთანხმებით ამ ინტერვიუში გამოთქმულ მოსაზრებებს, ეთანხმებით იმას, რომ შეთანხმებული პროექტის ნაწილები ხართ, რომელიც რუსეთმა საქართველოში განახორციელა?! რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ მას შემდეგ, რაც ასეთი ქებადიდება მოისმინა, მარგველაშვილი უფრო შორს წავიდა და მითითება მისცა ქართველ ხალხს, რომ „ეს პოზიცია, რაც არსებობს გუნდში, უნდა გაიზიაროს ქართველმა ხალხმა და მხარი დაუჭიროს იმას, რასაც ჩვენ, კოალიცია მათ ვეტყვით და როგორც ჩამოვუყალიბებთ ქვეყნის მომავალს“. ვფიქრობ, ეს მართლაც არის უკვე უპრეცედენტო კადნიერება. ასე რომ, ლაპარაკი იმაზე, პრორუსულია თუ პროდასავლურია „ქართული ოცნება“, ამაზე საუბარი ზედმეტია. ეს ციტატები კარგად ცხადყოფს ყველაფერს. ამიტომ, ამიერიდან ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, გააგრძელებს ის საგარეო პოლიტიკურ კურსს თუ სოჭის ოლიმპიადაზე გავემგზავრებით და უთავმოყვარეოდ მივესალმებით პუტინს, თუ შევადარებთ საქართველოს სერბეთს – ეს არის დილემა და ეს არის არჩევანი საქართველოს წინაშე. მე ვფიქრობ, საქართველო გააკეთებს არჩევანს პატრიოტების და არა რენეგატების სასარგებლოდ, – განაცხადა დეპუტატმა წიკლაურმა.

მის მსგავსად აღშფოთებულია ჩიორა თაქთაქიშვილიც. მისი აზრით, ბიძინა ივანიშვილი კოსოვოს მაგალითის გამოყენებისთვის ემზადება. თავისი უზომო აღშფოთება თაქთაქიშვილმა პარლამენტის სხდომაზე გამოხატა.

– აღშფოთებული ვარ იმ გადაწყვეტილებით, რომელიც უკავშირდება ხელახლა გაცოცხლებას იმ გამოძიებისა, რომელიც დაიწყო უშუალოდ აგვისტოს ომის შემდგომ დღეებში და უკავშირდება რუსეთის აგრესიის შედეგად გამოვლენილ სამხედრო დანაშაულებს. თვითონ საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა ამ პროცესის განახლება, არის ძალიან საინტერესო. მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში ჯერ ჩვენ ვისმენდით პორემიერ-მინისტრისგან ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ომი თურმე, საქართველომ დაიწყო, ვისმენდით „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატისგან აბსურდულ ბოდვას იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე, საქართველო შეიჭრა რუსეთის ტერიტორიაზე და წაართვა ტერიტორიები (და ამის ამბიცია ჰქონდა) მას სამხედრო ძალით. ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ უკვე პრემიერ-მინისტრი აგრძელებს იგივე პოზიციის გამეორებას. იუსტიციის მინისტრი, რომელიც იმავდროულად არის ის პიროვნება, რომელმაც დააკავა საქართველოს ეროვნული გმირი, ბატონი გიგი კალანდაძე, რომელიც საკუთარი სიცოცხლის ფასად ებრძოდა რუსეთის არმიას სწორედ აგვისტოს ომში, იმეორებდა დაჟინებით, რომ ომი დაიწყო საქართველომ და ეს გამოძიებაც თურმე საჭიროა იმისთვის, რომ სამართლებრივად დადგინდეს, დადასტურდეს ის, რომ ომი დაიწყო საქართველომ. კოლეგებო, მინდა, თქვენ მოგმართოთ, იმიტომ, რომ საერთაშორისო სამართლით ომს არ იწყებს კონკრეტული პირი. მესმის, რომ თქვენ გამოძრავებთ ზიზღი, აგრესია ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ, ეს აქ გამოთქმულ განცხადებებშიც დაფიქსირდა, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენი მიზანი არის მხოლოდ და მხოლოდ ქალბატონი წულუკიანის რევანშისტული ვნებების დაკმაყოფილება, ეს მიგვიყვანს იქამდე, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, იქნება დადანაშაულებული ომის დაწყებაში. ეს



ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ექნება ვალდებულება, აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. შემთხვევითი არ არის, რომ პრემიერ-მინისტრმა „ევრონიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ დიახ, ის ამისთვის ემზადება. ის ემზადება იმისთვის, რომ კოსოვოს მაგალითი, რომელიც არის საპირისპირო მაგალითი საქართველოსთან შედარებით (საპირისპირო არის იმიტომ, რომ კოსოვოში კოსოვოს მოსახლეობა იყო მსხვერპლი აგრესიისა), ზუსტად ეს მაგალითი გამოიყენოს და დაადასტუროს, რომ ჯერ საქართველომ განახორციელა აგრესია 2008 წლის ომის დროს და შემდგომში სწორედ სამხტეთ ოსეთისა და აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმებს აქვთ დამოუკიდებლობის უფლება. სწორედ ამას ემსახურება დღეს ოკუპაციის კანონის განხილვაც და გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ იმ სავალალო შედეგებზე, რომლებიც თქვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს, – აღნიშნა თავის გამოსვლაში თაქთაქიშვილმა.

აღშფოთებისა და შეშფოთების გამოხატვა არც საოცნებო უმრავლესობის წევრებს დაზარებიათ. კიდევ კარგი, დეპუტატებს ლაპარაკი მაინც არ ეზარებათ. დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი ცდილობს, გაარკვიოს, რატომ დადის ასე ხშირ-ხშირად მიხეილ სააკაშვილი. პრეზიდენტი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. დეპუტატი უშიშროების სხდომის მოწვევას ითხოვს და იქ სურს იმის მოსმენა, სად და რატომ დაიარება სააკაშვილი.

– მოწვეულ იქნეს საქართველოს უშიშროების საბჭოს სხდომა და ბატონმა პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს წევრებს მოახსენოს, რა საგარეო მიზნებს ემსახურება მისი ეს ვიზიტები. მისი კოლეგები, თანაპარტიელები სვამენ საკითხს, რომ საქართველოს საგარეო კურსი ექვემდებარება გადახედვას, ამიტომაც მას აქვს ვალდებულება თანამდებობრივი, რომ მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა და წარმოადგინოს ინფორმაცია, თუ მხარს უჭერს თავის „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს საგარეო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით. ეს მისი თანამდებობრივი მოვალეობაა, ამიტომაც მოვუწოდებ პრეზიდენტს, ჩაატაროს უშიშროების საბჭოს სხდომა, მისცეს ეს ინფორმაცია, რათა საზოგადოებისთვის ნათელი გახდეს საქართველოს საგარეო პოლიტიკა, საგარეო ინტერესები და პრეზიდენტის მიმართება თითოეულ ამ საკითხზე. პრეზიდენტის პოზი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



## უგულავა მერიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს შეხვდა

თბილისის მერი გიგი უგულავა, გუშინ მერიის უსაფრთხოების სამსახურის იმ თანამშრომელს შეხვდა, რომელმაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, დიდუბის რაიონის გამგეობის შენობის წინ მომხდარი ინციდენტის თავიდან აცილება შეძლო.

მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, უგულავამ უსაფრთხოების თანამშრომელს დაკისრებული მოვალეობის ეფექტურად შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

ინციდენტი გუშინწინ გამგეობასთან მოხდა. შენობის წინ შეიარაღებული პიროვნება დაფიქსირდა, რომელსაც ხელში საეჭვო ნივთები ეჭირა. ადგილზე მივიდა საპატრულო პოლიცია, რომლებმაც მერიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთან ერთად, აღნიშნული პიროვნებისთვის იარაღის ჩამორთმევა და მისი დაკავება შეძლეს.

დაკავებამდე შეიარაღებულმა პირმა ორი გასროლა განახორციელა, რასაც მსხვერპლი არ მოჰყოლია. გამოძახებული იყო ასევე გამნაღმველთა ჯგუფი და დადგინდა, რომ დაკავებულის კუთვნილ პოლიეთილენის პარკში ასაფეთქებელი ნივთიერება არ არსებობდა.

ნიუსპრესი



## სააკაშვილი ამერიკელი კონგრესმენების წინაშე სიტყვით გამოვიდა

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში, საქართველოს პრეზიდენტის სახელით მიღება გაიმართა, სადაც მიხეილ სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ქვეყნის პირველმა პირმა, რეგიონში ამერიკის განსაკუთრებულ როლზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა ის წვლილი, რომელიც საქართველოს IШ -ის მისიაში მონაწილეობით შეაქვს.

ამერიკელი კონგრესმენების წინაშე მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გამოხატა მწუხარება ავღანეთში „შირგაზას“ ბაზაზე ქართველი სამხედროების დაღუპვის გამო.

ნიუსპრესი

# სანდრო ბრეგაძე: „გეიაღლუმის უკან ბოკერია და მერაბიშვილი დგანან“

ნონა ცაბაძე



### ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

***—ბატონო სანდრო, თქვენთვისაც ცნობილია, რომ 17 მაისს რუსთაველის გამზირზე გეი აღლუმი იმართება. თქვენ ყოველთვის წინააღმდეგი გამოდიოდით მსგავსი აქციების და ერთ-ერთი პირველი ავრცელებდით ინფორმაციას ამ აქციების შესახებ. თუმცა დამეთანხმებით, რომ ვერცერთმა წინა ხელისუფლებამ ვერ გაბედა მსგავსი აღლუმის გამართვა. ახალი ხელისუფლების პირობებში კი ეს აღლუმი ტარდება და ისინი ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ. დღეს რა პოზიცია გაქვთ თქვენ ამ ყველაფერზე?***

— ამ შემთხვევაში, მე ყველასგან განსხვავებული პოზიცია მაქვს და მინდა, რომ ეს ჩემი პოზიცია ნათლად ჩამოვაყალიბო. პირველ რიგში, მე ვფიქრობ, რომ ჰომოფობია და ქსენოფობია, რა თქმა უნდა, დასაგმობია. ჩვენ არავითარ შემთხვევაში ძალადობით არ უნდა გავუსწორდეთ იმ ადამიანებს, რომლებიც განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები არიან. ამ ადამიანებს, რა თქმა უნდა, აქვთ არსებობის უფლება და საზოგადოებაში თანაცხოვრების უფლებაც. ერთია, რომ ჩვენ ამ ადამიანებს ვაძლევთ ამის უფლებას და მე ვერც იმაში ვხედავ პრობლემას, რომ ამ ადამიანებს თავიანთი აზრის გამოხატვის უფლება მივცეთ. მაგრამ საშინელებაა, ამაზრზენია და საზიზღრობაა ერთი რამ, რომელსაც არც ხელისუფლება აქცევს ყურადღებას და არც ოპოზიცია არ აქცევს ყურადღებას. საზიზღრობაა ის, რომ ეს აქცია 17-ში იმართება ჩვენი ბიჭების ძვლებზე, ქართველი იუნკრების ძვლებზე იმართება, რომლებმაც სამშობლოს თავისუფლებას შესწირეს თავი. იმ ადგილას იმართება, სადაც ჯერ არ შემშრალა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა სისხლი. სადაც არის 9 აპრილის მემორიალი, რომელიც არის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ნაკურთხი და რომელიც ქართველთათვის წმინდა ადგილს წარმოადგენს. ეს აქცია იმართება იმ ადგილას, სადაც არის ქართველთათვის, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი რელიგიური საკულტო ნაგებობა — ქაშვეთის ტაძარი. როდესაც სპეციალურად, ასეთ ადგილას იმართება ამ ტიპის აქცია, ეს, რა თქმა უნდა, არის პროვოკაცია. ეს არის პროვოკაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია და რომელსაც ხელმძღვანელობს ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი.

***— თქვენი აზრით, რატომ შეირჩა მაინცდამაინც ეს ადგილი?***

— რატომ შეირჩა? აქ ხომ აღარ არის პარლამენტი? შეიძლება გასასამართლებელი ყოფილიყო, რომ აი, პარლამენტის წინ აპირებენ ამ აქციის გამართვას. რატომ არ წავიდნენ ქუთაისში, პარლამენტის წინ?! კი ბატონო, მე არანაირი წინააღმდეგი არა ვარ, რომ ასეთი ტიპის აქცია ჩატარებულიყო, მაგალითად, თბილისის ზღვაზე, თუნდაც ვაკის პარკში ჩატარებულიყო. ანუ ისეთ ადგილებზე, რომელიც მოცილებული იქნებოდა იმ რელიგიურ, წმინდა ადგილებს, რომელი წმინდა ადგილებიც თბილისშია და რომელიც იმ ადგილას არის თავმოყრილი, სადაც ეს აქცია იმართება. მე ისეთივე წინააღმდეგი ვიქნებოდი, მსგავსი აქცია რომ ჩატარებულიყო სინაგოგის პირდაპირ, ან მეჩეთის პირდაპირ. ვინმემ დამისახელოს მსოფლიოში პრეცედენტი იმისა, რომ რელიგიურ და წმინდა ადგილებზე სექსუალური უმცირესობების აქციები ტარდებოდეს. თუ ტარდება ევროპის ქვეყნებში, ეს ტარდება სანაპიროებზე, ეს ტარდება ისეთ ადგილებში, სადაც არ არის რელიგიური ნაგებობები და სადაც არ არის წმინდა ადგილები. თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ვატიკანში ვინმემ მიცეს უფლება, რომ ჩატარდეს სექსუალური უმცირესობების აღლუმი?! თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ წმინდა პეტრეს ტაძრის პირდაპირ მოხდეს სექსუალური უმცირესობების გამოსვლა და იქ ხვევნა კოცნა და მტლაშა-მტლუში?! ეს ხომ წარმოუდგენელია, ამას ხომ არც ერთი დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფალი არ დაუშვებს! იმიტომ, რომ ეს არის არა შენი უფლებების დაცვა, ეს არის შეტევა იმ ტრადიციებზე და იმ სიწმინდეებზე, რომელი სიწმინდეებიც არის იმ ადგილას თავმოყრილი.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ამაში დევს პროვოკაციის მარცვალი?***

— რა თქმა უნდა. მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ ეს არ არის არანაირი ფობიის წინააღმდეგ მიმართული აქცია, ეს არის პოლიტიკური აქცია და ეს არის ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილი აქცია. მისი მთავარი არსი და მიზანი არის, რომ მოხდეს მასობრივი არეულობა და რომ მოხდეს პროვოცირება და შესაძლოა ვინმემ უზრუნველყოს ისიც, რომ სისხლი დაიღვაროს. რათა შემდგომში ნაციონალურმა მოძრაობამ მთელი მსოფლიოს გასაგონად ატეხოს ყვირილი, რომ საქართველოში ირღვევა უმცირესობების უფლებები. წინასწარ ვიძახი, რომ ვინმემ ახლა ქსენოფობად ან ჰომოფობად არ გამომიყვანოს. არავინ არ იძახის იმას, რომ ამ ადამიანების დახოცვა ან განდევნაა საჭირო, პირიქით ვიძახი, რომ ამ ადამიანების ინტეგრირება საზოგადოებაში უნდა მოხდეს, მაგრამ არ უნდა მოხდეს ამ ტიპის ადამიანების გაიდიალება. არსებობს ასეთი ტერმინი, რომელიც უდიდესმა ფილოსოფოსმა დანერგა და ამ ტერმინს ჰქვია ოლიკოფობია. ოლიკოფობია არის ისეთივე საშინელება, როგორი საშინელებაც არის ქსენოფობია. ოლიკოფობია ნიშნავს შინაურობისგან და ეროვნული მემკვიდრეობისგან განდგომილობას. ადამიანს, რომელსაც სძულს ყოველგვარი ეროვნული, ტრადიციული და ღირებული. ოლიკოფობია სპეციალურად არის დანერგილი საქართველოში და ეს იმ მიზანს ემსახურება, რომელიც ეროვნული მოძრაობის დამარცხებას მოჰყვა 92 წელს.

***— ჩვენ გვყავს ოლიკოფობები?***

— ანუ ოლიკოფობები არიან გიგა ბოკერია, თამარ ჩერგოლეიშვილი, ლევან რამიშვილი, გიგი თევზაძე, ვანო მერაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილი. ოლიკოფობია ეს არის ერთგვარი დაავადება, რომელიც ყოველგვარი ეროვნულობისადმი შიშს და შიშიდან გამომდინარე, სიძულვილს იწვევს. ნებისმიერ ქვეყანაში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაში ოლიკოფობების გამოცნობა ძალიან იოლია. ისინი ყოველთვის იმათ მხარეს დგებიან ვინც ჩვენი წინააღმდეგია. ისინი ლაფს ასხამენ ჩვენს ეროვნულ კულტურას, ადათ-წეს, სარწმუნოებას, ეროვნულ სიამაყეს. სხვათა შორის ოლიკოფობები ძალიან ადვილად ხდებიან ქვეყნის ჯაშუშები. ოლიკოფობები იმიტომ კი არ იცავენ საქართველოში სექსუალურ უმცირესობებს, რომ ისინი დაჩაგრულები არიან და მათი დაცვა უნდათ, არამედ იმიტომ, რომ პირველ რიგში ამაში დიდ ფულს იღებენ და მეორე — ქართული, ეროვნული ეზიზღებათ. სძულთ და ამით სურთ შური იძიონ თავიანთ სამშობლოზე. იმ სამშობლოზე, რომელმაც, მათივე აზრით, ისინი თავის დროზე, მაგალითად, სკოლაში, უნივერსიტეტში, სამსახურში, ოჯახში არ დააფასა. ქართველი ოლიკოფობები თავის თავში კი არ ეძებენ პრობლემას, რომ სწორედ ეროვნულმა ტრადიციებმა აქციეს ისინი თავის დროზე საზოგადოებისგან გარიყულებად და ამის ნათელი მაგალითია ზუსტად მიხეილ სააკაშვილი. ამიტომ იწყებენ ისინი შურისძიებას თანატოლებზე და საკუთარ სამშობლოზე, ან მთლიანად საზოგადოებაზე. ოლიკოფობები არიან ბევრად უფრო საშიშები, ვიდრე სხვა ფობიით დაავადებული ადამიანები, მაგალითად ქსენოფობები ან ჰომოფობები. ოლიკოფობია ისეთივე დასაგმობია, როგორც ქსენოფობია და ჰომოფობია. ოლიკოფობები, რომლებიც ყველაზე მეტ ღალატს, სისაძაგლეს და გარყვნილებას ჩადიან, ცდილობენ თავიანთი ფობია დამალონ. საქართველოს მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ოლიკოფობების ჩამოშორება, როგორც ხელისუფლებიდან, ასევე ოპოზიციიდან, რადგან ოლიკოფობების მიერ მართული პოლიტიკა ქვეყნისთვის ყოველთვის დამღუპველი იქნება და სწორედ ოლიკოფობების მიერ არის განხორციელებული 17 მაისის აქცია. სწორედ ოლიკოფობები ქმნიან ამას, ადამიანები, რომლებსაც სამშობლო ეზიზღებათ, ადამიანები, რომლებსაც საქართველო სძულთ. მათ სულაც არ აინტერესებთ სექსუალური უმცირესობების დაცვა, მათ აინტერესებთ თავიანთი, ვიწრო პოლიტიკური ინტერესების გატარება და რა თქმა უნდა, უცხოური დონორებისგან მილიონების აღება.

***— ბატონო სანდრო, პროვოკაციას თუ ელით თქვენ ამ აქციაზე და რამდენად შეძლებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომ მშვიდ ვითარებაში წარიმართოს ეს აქცია?***

— პროვოკაცია მათ პირდაპირ აქვთ დავალებული ნაციონალური მოძრაობისგან. თუმცა მოხდა ერთი ძალიან კარგი და საგულისხმო რამ, როგორც იცით, იმართება საპირისპირო აქცია. რომ არა ეს საპირისპირო აქცია, დარწმუნებული იყავით, რომ იქ აუცილებლად მოხდებოდა კონფლიქტი, მაგრამ ამ საპირისპირო აქციაში ჩაერივნენ სასულიერო პირები. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მათ მოჰყავთ თავიანთი მრევლი, რომლებზეც პირდაპირ ბრძანება არის გაცემული, რომ არანაირი ძალადობა არ მოხდეს, არანაირი შეხლა შემოხლა არ მოხდეს და არანაირი პროვოკაცია არ მოხდეს. ძალიან კარგია, რომ სასულიერო პირები მართავენ იქ საპირისპირო აქციას და არ მართავენ საერო პირები, იმიტომ, რომ საერო პირებს მაინც გაუჭირდებოდათ სიტუაციის დარეგულირება. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ და დარწმუნებული ვარ, რომ ოლიკოფობების მიერ იქნება პროვოცირება და ისინი ყველანაირად შეეცდებიან, რომ რაიმე ტიპის პროვოცირება შედგეს. მე პირდაპირ ვიცი, სცენარი როგორ წარიმართება ეს ყველაფერი. — პირველ საშუალო სკოლასთან იქნება საწინააღმდეგო აქცია, სადაც იქნება საყვირები, სადაც იქნება საპროტესტო შეძახილები და ძველი პარლამენტის შენობასთან იქნება ოლიკოფობების აქცია. ხოლო მათ შუაში იდგება პოლიცია, რომელიც ყველანაირად ეცდება, რომ ისინი არ მიუშვას ერთმანეთთან. თუმცა მე კიდევ გავიმეორებ, რომ ჩემტვის ძალიან შეურაცხმყოფელია, რომ ქართველი იუნკრების ძვლებზე ჩატარდეს მსგავსი ტიპის აქცია.

***— რატომ მისცა ხელისუფლებამ ამის უფლება? ხომ შეეძლოთ, სხვა ადგილი გამოეყოთ მათთვის?***

— პირველ რიგში, მათ ამის უფლება მისცა გიგი უგულავამ და უგულავა რასაკვირველია, დაინტერესებულია იმით, რომ იქ პროვოკაცია მოხდეს. ეს მისი აუხდენელი ოცნებაა. თუმცა ჩემდა სამწუხაროდ, საქართველოს ახალ ხელისუფლებასაც ვატყობ, რომ დაშინებულები ჰყავთ ოლიკოფობებს საქართველოს ხელისუფლება. შეშინებულები ჰყავთ და საქართველოს ხელისუფლება რაღაც ზედმეტი რუდუნებით უდგება ამ საკითხს. ამ საკითხს კი არანაირად არ სჭირდება ზედმეტი რუდუნებით მიდგომა და ეს ცალსახად უნდა აჩვენოს ხელისუფლებამ. ჰომოფობია რა თქმა უნდა დასაგმობია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაგვრა სექსუალური უმცირესობების, მაგრამ არც ისე არ შეიძლება, რომ სექსუალურმა უმცირესობებმა დაგვჩაგრონ ჩვენ და დღეს ჩვენ სექსუალური უმცირესობები გვჩაგრავენ! გვჩაგრავენ, როდესაც ჩვენი წმინდა ადგილების წაბილწვა ხდება, როდესაც ჩვენ წმინდა ადგილებზე ხდება ისეთი აქციების ჩატარება, როგორი აქციის ჩატარებასაც არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ მისცემდა, არც ერთი ნორმალური ხელისუფალი და არც აძლევს. იტალიაზე დემოკრატიული ქვეყანა ევროპაში არ არსებობს, მაგრამ აბა, კარგი დედმამიშვილი ხარ და ვატიკანში მოინდომე ასეთი ტიპის აქციის გამართვა. გარწმუნებთ, არავინ მისცემთ ამის საშუალებას და პანღურით გამოაგდებენ იქიდან. ჩვენ ხელისუფლებას რა სჭირს, არ ვიცი. ის დაშინებული ჰყავთ და ჩვენს ხელისუფლებაშიც არიან საპარლამენტო დონეზე ოლიკოფობები და საკმაოდ ბევრია ასეთი, რომლებსაც სძულთ ყოველივე ეროვნული და რომლებისთვისაც ყოველგვარი ეროვნული და ტრადიციული არის მათი კომპლექსების არსი და ეს კომპლექსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს თავისი სამშობლო არ უნდა უყვარდეს. კაცმა კაცი უნდა შეიყვაროს, ქალმა — ქალი. ასეთი მიდგომები კი ქვეყანას მიიყვანს იქამდე, რასაც ზნეობრივი და ადამიანური დეგრადაცია ჰქვია. ეკონომიურ კატასტროფას კიდევ უძლებს ქვეყანა, მაგრამ ზნეობრივ და მორალურ კატასტროფას ქვეყნები და ერები ვერ უძლებენ. მრავალი ერი წაშლილა და გადაშენებულა და ჩვენ, ქართველებმა ეს არ უნდა დავუშვათ და არც არავითარ შემთხვევაში დავუშვებთ ამას.

# გოგა ხაჩიძე: „გია ხუხაშვილი სარეკლამო კომპანიებზე ზეწოლას ახორციელებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ცია, რომ ის არ იწვევს უშიშროების საბჭოს სხდომას, მიანიშნებს მის უპასუხისმგებლობასა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების უარყოფაზე. ამიტომაც გამოვდივართ ამ მოთხოვნით და ვთხოვთ ბატონ ანდრო ბარნოვს, წარმოადგინოს ინფორმაცია, ხოლო პრეზიდენტს — მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა, — განაცხადა ქუცნაშვილმა.

ის თავის კოლეგა ზვიად კვაჭანტირაძის მოთხოვნასაც შეუერთდა და პრეზიდენტის ვიზიტების ფორმის, დღის წესრიგისა და ხარჯების გასაჯაროება მოითხოვა.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს ანდრო ბარნოვს მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთული ვიზიტების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას სთხოვს.

— 14 მაისს შევიტყვეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვიზიტით იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენი ინფორმაციით, იგი, უახლოეს მომავალში, ასევე, გეგმავს რამდენიმე ქვეყნის მონახულებას. მე ვესაუბრე საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას და დამიდასტურეს, რომ ქვეყნის პრეზიდენტის საგარეო მივლინებების შესახებ სამინისტრო არანაირ ინფორმაციას არ ფლობს და დიპლომატიური კორპუსი არანაირად ჩართული არაა მისი ვიზიტების მომზადებასა და განხორციელებაში. ახლაც კი, აშშ-ში, სადაც საქართველოს პრეზიდენტი ხვდება კონგრესმენებს, სენატორებს, საქართველოს საელჩოს ამ ვიზიტთან არანაირი შეხება არ აქვს, გარდა იმისა, რომ გუშინ კონგრესში გამართულ მიღებაზე იყვნენ დაპატიჟებული. საერთოდ არ არის საქმის კურსში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, შესაბამისად, საქართველოს მთავრობა. საქართველოს პრეზიდენტი გამოდის, აკეთებს გარკვეულ განცხადებებს ხან ეკონომიკაზე, ხან ენერგეტიკაზე, ხან განათლებაზე, რაც პირდაპირ განეკუთვნება მთავრობის კომპეტენციას. მინდა, ვთხოვო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ ანდრო ბარნოვს, რომ გააკეთოს საჯარო განცხადება პრეზიდენტის მიერ დაგეგმილი ვიზიტების შესახებ უახლოესი ერთი თვის განმავლობაში და გვაცნობოს, რომელ ქვეყნებში აპირებს პრეზიდენტი მოღვაწეობას და რა არის ამ ვიზიტების სტატუსი — არის სახელმწიფო, თუ სამუშაო. ამას გარდა, მაინტერესებს, რა სტატუსით მოგზაურობენ ამჟამად პრეზიდენტთან ერთად ჩვენი კოლეგები, არიან ისინი პრეზიდენტთან ერთად, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები თუ როგორც მეგობრები, თუ როგორც საქართველოს პარლამენტის წევრები. თუ არიან როგორც საქართველოს პარლამენტის წევრები, რატომ ახლავს თან მხოლოდ უმცირესობა და არა უმრავლესობის თუნდაც ერთი ან ორი წარმომადგენლები, — განაცხადა კვაჭანტირაძემ.

დეპუტატი გივი თარგამაძე პრემიერ-მინისტრს მიმართავს და აცხადებს, რომ „კერძო ბიზნესების მის საახლობლოში გადანაწილება ბიზნესის სახელმწიფოსთვის დაბრუნებას არ ნიშნავს“. ამ კონტექსტში „ბიზნესმენებისათვის აპოკალიფსის მაცნის“, ვინმე უჩას სახელი დეპუტატმა გუშინ პარლამენტის ტრიბუნიდან ახსენა და აღნიშნა, რომ ის პრემიერ-მინისტრის ნათესავია.

— როდესაც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ მას გია ხუხაშვილი ბიზნესების დაბრუნებაში ეხმარება, მინდა ვთქვა, რომ კერძო ბიზნესების პრემიერ-მინისტრის საახლობლოში გადანაწილება ბიზნესის სახელმწიფოსთვის დაბრუნებას არ ნიშნავს. ეს ასეც რომ იყოს, კერძო ბიზნესი ვინმეს რატომ უნდა წაერთვას და სახელმწიფოს გადაეცეს, გაუგებარია, — განაცხადა გივი თარგამაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

მისივე შეფასებით, კომპლექსურ გამოძიებას საჭიროებს გელა ხვედელიძესთან დაკავშირებული საქმე. თარგამაძეს მიაჩნია, რომ „ლაშა ნაცვლიშვილი ახლა ადვოკატს უნდა ეძებდეს“.

გივი თარგამაძის აზრით, ირაკლი ღარიბაშვილი, შესაძლოა, საერთოდ მოადგილეების გარეშე დარჩეს.

— სოსო ალავიძე, რომლის პროტეჟედაც ალეკო ტაბატაძე გვევლინება, კორუფციის კრებითი სახეა. ალავიძე ახორციელებს შესყიდვებს სოფლის მეურნეობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში. მივიღეთ ის, რომ თუ შევარდნაძის დროს, ერთი სოსო ალავიძე გვყავდა და ზუსტად ვიცოდით, რომ ის შინაგან საქმეთა სამინისტროში იყო, ახლა გვყავს ერთი სოსო ალავიძე ხუთად გაყოფილი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებებს მოიცავს, — განაცხადა გივი თარგამაძემ.

# ნინო ბურჯანაძე აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდება



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აქტიურ პოლიტიკას უბრუნდება.

ამის შესახებ თავად ბურჯანაძემ ოზურგეთის „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ აქტივისტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„ვიწყებთ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას, დასრულდა მორატორიუმი! აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში და ვეცდებით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში“,— განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი საპრეზიდენტო კანდიდატად 26 მაისს დასახელდება.

ფრონტნიუსი

# პაატა ზაქარეიშვილი: „ტერიტორიული მთლიანობა სააკაშვილის წასვლის შემდეგ აღდგება“

ნათია ხურცილავა



**პაატა ზაქარეიშვილმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა. მისი განცხადებით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის პერსპექტივა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის შემდეგ გაიხსნება.**

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, როგორც კი სააკაშვილი ისტორიას ჩაბარდება, აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივა გაიხსნება.

პაატა ზაქარეიშვილი გუშინ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს შეხვდა. აღნიშნული განცხადება კი შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, შეხვედრის ერთადერთი თემა კონფლიქტურ ზონებთან ურთიერთობების დალაგების პერსპექტივა იყო.

– მათ აინტერესებდათ ჩვენი ხედვები ამ მიმართულებით. ჩემი მხრიდან დაფიქსირდა, რომ ვიდრე არსებობს ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორიც არის პრეზიდენტი და საპარლამენტო უმცირესობა, რომლებიც ყველანაირად გვიშლიან ხელს, რომ ფორმალური კონტაქტები მაინც გვქონდეს კონფლიქტურ რეგიონებთან, ეს პრობლემები ვერ მოგვარდება. პრეზიდენტს ამ დრომდე არ მოუწერია ხელი სამინისტროსთვის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით, ხოლო პარლამენტში უმცირესობა ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენ მიერ ინიცირებული ცვლილებები კანონში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ დროზე რეალიზებული არ იქნეს. ამ ფონზე სამომავლო გეგმები იყო ის, რომ როგორც კი სააკაშვილი ისტორიას ჩაბარდება, ოქტომბერში ყველაფერი დასრულდება და ქვეყანას მთავრობის მომხრე პრეზიდენტი ეყოლება, ჩვენ გაგვეხსნება ახალი პერსპექტივები დიალოგისა და ურთიერთობის აღდგენისა, როგორც აფხაზეთთან, ისე. ე.წ. სამხრეთ ოსეთი. – აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივების შესახებ გუშინ ჟურნალისტებთან კომენტარი პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემაც გააკეთა.

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით, „მთავრობას არ აქვს ილუზიები, რომ რუსეთთან ურთიერთობაში პროგრესი ძალიან სწრაფად იქნება“.

აღნიშნული განცხადება აბაშიძემ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

– ჩვენ ზოგადად ვისაუბრეთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, კერძოდ, იმ დიალოგის საკითხებზე, რომელიც გასული წლის დეკემბერში პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაიწყო. ჩვენს სტუმრებს აინტერესებდათ, რა სტადიაშია ეს პროცესი, როგორ ვუყურებთ სამომავლოდ გეგმებს, როდის იქნება შემდეგი შეხვედრა და ა.შ. ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა სახით შეუძლიათ მათ დახმარება აღმოგვიჩინონ. ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით რაღაც მოძრაობა არის, საუბარი მაქვს სავაჭრო, ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ სფეროზე. თუმცა სერიოზული პრობლემები არსებობს და ალბათ, მათ მოგვარებას გარკვეული დრო დასჭირდება. ჩემი მხრიდან ხაზი გაესვა, რომ არ გვაქვს ილუზიები და გადამეტებული მოლოდინები, რომ პროგრესი ამ ურთიერთობებში ძალიან სწრაფად იქნება მიღწეული, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ პატარა ხელშესახები შედეგები უკვე არის. – განაცხადა აბაშიძემ.

# სოზარ სუბარი: „ციხეში პატიმრების სიკვდილიანობამ იკლო“

ნათია ხურცილავა



სოზარ სუბარმა გუშინ ჟურნალისტებთან გამართა შეხვედრა. „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე მინისტრმა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

სოზარ სუბარმა ასევე უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვებს.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, პროკურატურას მთელი ტომები აქვს იმისა, რა ხდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და ეს მალე სასამართლოში წავა.

სუბარმა წამებისა და კორუფციის ფაქტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ აღნიშნულ საქმეში ასეულობით ადამიანი იყო ჩართული.

– როცა ვამბობდით, რომ წამება და კორუფცია იყო უსერიოზულესი პრობლემა, ცხადია, ამაში იყო ჩართული ათეულობით და ასეულობით ადამიანი. არაფერს ვიტყვი იმაზე, რასაც აკეთებს გენერალური პროკურატურა, 2300-ზე მეტი პატიმარი ჰყავს დაკითხული, რამდენიმე ასეული მოქმედი თუ ყოფილი თანამშრომელი და მთელი ტომები არის დადებული იმის შესახებ, რა ხდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და ეს მალე წავა სასამართლოში. – განუცხადა ჟურნალისტებს სოზარ სუბარმა.

სუბარმა სასჯელაღსრულების სამინისტროს მომავალ გეგმებზეც ისაუბრა. როგორც გაირკვა, ის ახალი ტიპის ციხის მშენებლობას გეგმავს, სადაც ნარკოდამოკიდებულ მსჯავრდებულებს უმკურნალებენ.

მინისტრის თქმით, სასჯელაღსრულების სამინისტრო აქტიურადაა ჩართული იმ სამუშაო ჯგუფში, რომელიც ნარკოპოლიტიკაზე მუშაობს.

– ვაპირებთ, რომ შეიქმნას ერთგვარი ახალი ტიპის დაწესებულება – ციხე, სადაც ადამიანები გამოჯანმრთელდებიან და ნარკოდამოკიდებულები არ იქნებიან. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში წინა ხელისუფლებამ კრახი განიცადა, ნარკოტიკების მოხმარებამ იატაკქვეშ გადაინაცვლა, ნარკოდანაშაულიდან 40 მილიონი ლარი შედიოდა, მის წინააღმდეგ ბრძოლაზე კი 3 მილიონი იხარჯებოდა. გაცილებით მეტი უნდა იხარჯებოდეს, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე და ნარკოდანაშაული ბიუჯეტის შევსების წყარო არ უნდა გახდეს. – განაცხადა სუბარმა.

მინისტრმა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს სამედიცინო აპარატურით აღჭურვის პროცესზე ისაუბრა. სუბარის განცხადებით, ერთ თვეში დამთავრდება ტენდერი, რითაც მოხდება ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს აღჭურვა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის განცხადებით, მედპერსონალის შესარჩევად გამოცხადდება კონკურსი, არსებულიდან კი სამუშაო ადგილს ღირსეული შეინარჩუნებს.

გუშინ გამართულ შეხვედრაზე გაირკვა, რომ ძალიან მალე მწყობრში ჩადგება გლდანში პრობაციის ახალი დაწესებულება.

– ეს იქნება დაწესებულება, სადაც მსჯავრდებულები სასჯელის ბოლო პერიოდს მოიხდიან, მათ მუშაობის, განათლების მიღების და კვირაში ორი დღე ოჯახში ყოფნის საშუალება მიეცემათ, იდეაში გვაქვს, რომ ორი ასეთი ტიპის დაწესებულება აშენდეს, მათ შორის ერთი ქალბატონებისთვის იქნება განკუთვნილი, – განაცხადა სუბარმა.

კიდევ ერთი ფარული ჩანაწერის შესახებ გახდა ცნობილი. ამჯერად ფარული ჩანაწერი საკნებშია გაკეთებული. თუმცა, მინისტრს გუშინ ფარული ჩანაწერის შინაარსზე არ უსაუბრია.

სასჯელაღსრულების მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, ერთი კვირის წინ სასჯელაღსრულების სამინისტრომ და პროკურატურამ საკნებში გადაღებულ ფარულ ვიდეოარქივს მიაკვლიეს.

სოზარ სუბარის განცხადებით, მსგავსი არქივი ახალ ხელისუფლებას აბსოლუტურად წაღებული დახვდა, თუმცა გამოძიების შედეგად იმ მცირე ნაწილს მიაკვლიეს, რომელიც გადამალული იყო.

– შიგნით რა არის, ნამდვილად არ ვიცი, ეს მოხდა დაახლოებით ერთი კვირის წინ. დეტალებს არ დავაზუსტებ, მისი ამოღება პროკურატურასთან ერთად მოხდა და ეს მასალები იმ გამოძიებას დაერთო, რომელიც პროკურატურაში მიმდინარეობს. – განაცხადა სუბარმა.

სოზარ სუბარი უჩა ნანუაშვილის რეკომენდაციაზე აცხადებს, რომ მან ომბუდსმენის რეკომენდაცია გაითვალისწინა.

სასჯელაღსრულების მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, სახალხო დამცველის ანგარიშში მონაწილე ყველა პირი, რომლებსაც პატიმრების ცემაში ედებოდათ ბრალი, გათავისუფლებულია.

სასჯელაღსრულების მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, სამი დღის წინ გეგუთის ციხეში პატიმრებს შორის ჩხუბი მოხდა და ერთ-ერთი მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

– ინფორმაცია მართალია. ამ წუთში ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ. ეს ფაქტი სამი დღის წინ მოხდა. პატიმრებს შორის იყო ჩხუბი და დაპირისპირება. ამ პატიმრის მდგომარეობა სახარბიელო არ არის, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. დღეს შეიძლება, კომისიამაც განიხილოს მისი მდგომარეობა. ყოველწუთიერი კონტაქტი გვაქვს როგორც გამოძიებასთან, ისე ჯანდაცვის სამინისტროსთან. არსებობს ინფორმაცია, რომ ის კიბიდან დაგორდა, მაგრამ ამ დაგორებას წინ რაღაც უძღვოდა. – განაცხადა სუბარმა.

ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ, დაბრუნდა თუ არა „მაყურებლის“ ინსტიტუტი, სასჯელაღსრულების მინისტრის განცხადებით, „მაყურებლების“ ინსტიტუტი კი არ ბრუნდება, არამედ ის სასჯელაღსრულების სისტემაში მყარად გამჯდარი იყო.

სუბარის თქმით, „მაყურებლები“ ტერორში ამყოფებდნენ არა მხოლოდ პატიმრებს, არამედ მათი ოჯახის წევრებს.

– თუ შევარდნაძის დროს ქურდები და „მაყურებლები“ მართავდნენ ციხეს და თავიანთ წილს უყოფდნენ ადმინისტრაციას, სააკაშვილის დროს შეიცვალა ის, რომ ისინი ადმინისტრაციასთან ერთად მართავდნენ და ინაწილებდნენ ამ წილს. მინისტრად დანიშვნიდან ორ კვირაში ქსნის მე-15 დაწესებულებიდან 5 თანამშრომელი გავათავისუფლე. ამის მიზეზი იყო „მაყურებლებთან“ თანამშრომლობა. გვაქვს გენინსპექციის დასკვნა, სადაც დეტალურადაა აღწერილი მათი თანამშრომლობა, „ობშიაკების“ შეკრება, მათ მიერ სხვა პატიმრების ერთობლივი ცემა და ა.შ. – განაცხადა სუბარმა.

სოზარ სუბარის განცხადებით, თუ ადრე ადმინისტრაციასაც ჰქონდა წილი, დღეს სამინისტრო იმას მაინც ახერხებს, რომ ამ წილში ადმინისტრაცია არ იყოს.

მისი თქმით, „თავდაპირველად მოხდა ამ პიროვნებების იდენტიფიკაცია, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი ფსევდონიმით იყო მოხსენიებული, მაგალითად ვინმე „ხონსკი“.

– სახალხო დამცველის მოხსენება ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ, ყველა, ვინც მასში მოხსენიებულია, იდენტიფიცირებულია. ისინი მხილებულნი არიან პატიმრების ცემისა და წამების ფაქტებთან დაკავშირებით. ყველა მათგანი გათავისუფლებულია და მათი მასალები გადაგზავნილია პროკურატურაში. მხოლოდ ერთადერთი მათგანი არ არის გათავისუფლებული, თუმცა მისი ვინაობა იდენტიფიცირებულია, ის გამოძიებასთან თანამშრომლობს. – განაცხადა სუბარმა.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ე.წ. კრიტის დახურვის შემდეგ, რომელიც რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა, სასჯელაღსრულების დაწესებულება ზუგდიდშიც დაიხურება.

აღნიშნული ინფორმაცია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა, სოზარ სუბარმა ჟურნალისტებს შეხვედრისას გააცნო.

– ჩვენ დავხურეთ კრიტი, ეს არ ექვემდებარებოდა არანაირ რემონტს. იქ ადამიანის მოთავსება იყო ღირსების შემლახავი და წამების ტოლფასი, ასეთივე დაწესებულება გვაქვს ერთი ზუგდიდში, რომელიც უნდა დაიხუროს. ასევე მე-19 საუკუნის შენობაა, რომელიც თავის დროზე, დადიანების საჯინიბო იყო. დროებით არის დახურული ბათუმის დაწესებულება. მის დახურვაზეც ვფიქრობდით, მაგრამ როცა შევისწავლეთ მისი მდგომარეობა, შენობა არის ნორმალური, უბრალოდ იქ იყო უსაშინლესი პირობები იმიტომ, რომ წლებია, ხელი არ შეხებია და არ გაკეთებულა რემონტი. კვირის ბოლომდე, ალბათ, მორჩება შიდა დემონტაჟი, დაიწყება რემონტი და ბათუმში იქნება ძალიან ნორმალური დაწესებულება. ამ წუთისთვის მთლიანად არის დახურული მე-16 დაწესებულება და იქ რემონტი დაიწყება. დღეს მივდივარ ტერიტორიაზე, სადაც უნდა ავაშენოთ ახალი, პატარა დაწესებულება და ეს იქნება სამუდამო პატიმრობა მისჯილებისთვის, რომელთაც უნდა ჰქონდეთ ნორმალური პირობები. – განაცხადა სუბარმა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა წელს გარდაცვლილი პატიმრების რაოდენობაზე ისაუბრა.

სოზარ სუბარის ინფორმაციით, წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 9 პატიმარი გარდაიცვალა.

– სიკვდილობა თუკი იყო წელიწადში 140-ს ზემოთ და ეს იყო 60-70 ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 4 თვეში სულ გვაქვს 9 შემთხვევა, ეს გამოდის წელიწადში 27 სიკვდილი ყოველ 10 000 პატიმარზე. ამერიკული მაჩვენებელი არის 26, ევროპული – 26-დან 30-მდე და ამ სტანდარტში ჩაჯდა. სიკვდილს მთლიანად ვერ გამორიცხავს ვერავინ. არც ერთი ეს სიკვდილი არ იყო პროგნოზირებადი, იყო უბედური შემთხვევები, გულის შეტევა და ა.შ. – განაცხადა სოზარ სუბარმა.

# 17 მაისს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით რელიგიური გაერთიანებები განცხადებას ავრცელებენ

რუსთაველის გამზირზე, 17 მაისს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით, საქართველოს რელიგიური გაერთიანებები ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

„გვინდა გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება 17 მაისს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრესი დასაყრდენია, ხოლო მისი უზრუნველყოფა – საზოგადოებრივი დემოკრატიული პროცესების წარმატებით წარმართვის აუცილებელ პირობა. ეს თავისუფლება ერთის მხრივ ინდივიდის თვითრეალიზაციის საშუალება, ხოლო მეორეს მხრივ საზოგადოებისათვის საჭირბოროტო თემებზე აზრის გამოთქმის, დისკუსიების, დებატების გზით შეთანხმების მიღწევისა და საზოგადოების განვითარების წინაპირობაა. დემოკრატიული საზოგადოებისათვის ასევე ფასეულია შეკრებების თავისუფლების უზრუნველყობა, რომელიც გამოხატვის რეალიზების ერთ-ერთი საშუალებაა.

ამასთან საზოგადოებას გვინდა შევახსენოთ, რომ როგორც გამოხატვის, ასევე შეკრების თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს და იგი რიგი პირობების შედეგად შეიძლება შეიზღუდოს. საქართველოს კონსტიტუცია, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია თუ სხვა საერთაშორისო დოკუმენტები ამომწურავად მიუთითებენ იმ პირობებს რომლის დროსაც შეიძლება შეზღუდული იყოს იგი. სხვასთან ერთად ესენია უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვა, ჯანმრთელობისა და მორალის დაცვა. ზემოაღნიშნულში ორი ფასეულობის – რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლების კონფლიქტიც მოიაზრება.

თუ ევროპული სასამართლოს პრაქტიკას გადავხედავთ თვალნათლივ დავინახავთ, რომ აქ ერთიანი ევროპული სტანდარტის დადგენილი არ არის. ამის გამო რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისა თუ მორალურ კრიტერიუმებთან დაკავშირებულ საქმეებში ევროპული სასამართლო ყოველთვის ეროვნულ სასამართლოებს უტოვებს შეხედულების საკმაოდ ფართო არეს, რათა მათ საკუთარი ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარე დაადგინონ, თუ სად გადის ეს ზღვარი და რას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესი. და როგორც წესი ეს დავა მორალის, საზოგადოებრივი ზნეობისა თუ რელიგიური გრძნობების სასრგებლოდ წყდება.

ამიტომ ქვეყანაში სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იმ ტრადიციული რელიგიების მიმდევარია, რომლის მოძღვრების მიხედვით ერთსქესიან ადამიანთა სქესობრივი ურთიერთობები ცოდვად მიიჩნევა, 2012 წლის 17 მაისის მსგავს პროპაგანდისტულ აქციებზე საზოგადოებას ლეგიტიმური უფლება აქვს, მშვიდობიანი, არაძალადობრივი ფორმით გამოხატოს პროტესტი.

სამწუხაროდ, გასულ წელს, ჩვენ მომსწრენი გავხდით არაერთი უხამსი და საზოგადოებრივი მორალისათვის შეუფერებელი ქმედებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ არასრუსწლოვანთა თვალწინ. იმედია, წელს მსგავს მოვლენებს არ ექნება ადგილი.

ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება არის ხელშეუხებელი. ამასთან, მოვუწოდებთ აქციის მონაწილეებს საჯაროდ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თავიანთი სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებისა და პროპაგანდისაგან თავი შეიკავონ, რადგან ამგვარი ქმედება საზოგადოებრივი მორალისათვის არის მიუღებელი“– ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, ამიერკავკასიის მუსულმანთა სამმართველოს წარმომადგენელი საქართველოში, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო, სომეხთა სამოციქულო წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქია, ამიერკავკასიის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია, ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია საქართველოში, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, მეშვიდე დღის ქრისტიან – ადვენტისტთა ეკლესია საქართველოში და ხსნის არმია საქართველოში, – აწერენ.

ნიუსპრესი

# ხელისუფლება ბიზნესის განვითარებისთვის არაფერს აკეთებს

თამარ ნინიძე



**„ახალმა მემარჯვენეებმა“ მთავრობის შვიდი თვის მუშაობა შეაფასეს და განაცხადეს, რომ ივანიშვილის მთავრობა ეკონომიკაში მკვეთრად მარცხნივ გადაიხარა. მემარჯვენეები მიუთითებენ იმაზე, რომ შეინიშნება სოციალისტური მოდელის და თანამედროვე რუსული ოლიგარქიულ-ბიუროკრატიული მოდელის ნაზავი. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკურ ექსპერტს ლევან კალანდაძეს ესაუბრა.**

***– მოდით, ჯერ ზოგადად შეაფასეთ, რატომ გადაიხარა ივანიშვილის მთავრობა მარცხნივ და შემდეგ კონკრეტულადაც ვისაუბროთ?***

– როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, ჩვენ განვაცხადეთ, რომ შევწყვეტთ ოპონირებას სამი-ოთხი თვით. ვაცადეთ ამ ხელისუფლებას, რომ მას გამოეკვეთა თავისი პრიორიტეტები. ჩვენ ვაკვირდებოდით პროცესების განვითარებას. რატომ გადავიხარეთ მარცხნივ? სახელმწიფომ ცალსახად თქვა უარი დაზღვევის კომპონენტზე სახელმწიფო პროგრამებში, ამ პროგრამების მენეჯმენტს რეალურად სადაზღვევო კომპანიები ახორციელებდნენ. რისკი გადასული იყო კერძო სექტორზე. მთავრობამ თქვა, რომ 1 ივლისიდან ეს კომპონენტი უნდა ამოვიღოთ და უნდა შევქმნათ სახელმწიფო დაზღვევის ჯანდაცვის ფონდი, ზუსტად ის მოდელი, რომელიც მოქმედებდა შევარდნაძის დროს, როცა ხელისუფლება თვითონ იყო შემკვეთიც და ალმასრულებელიც, ბიუჯეტიდან ამ ფონდში ფული შედიოდა და ნაწილდებოდა საავადმყოფოებზე, ამან მაშინ მოგვცა ძალიან ცუდი შედეგი. ჰოსპიტალური სექტორი ვერ ვითარდებოდა, არაადეკვატური იყო დანახარჯები ბიუჯეტიდან, არ ყოფნიდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისთვის გარკვეულ მანიპულაციებს თანხები, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია მნიშვნელოვნად დაეცა, გაჩნდა კორუფციული ელემენტები, როცა ბიუჯეტს ფული აკლდება, რისკი აღარ აქვს კერძო სექტორს. როცა ადამიანს უნდა კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება, ის იძულებულია ოცი ლარი ექიმს ჯიბეში ჩაუდოს. არჩევნების წინ კოალიციამ თქვა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბიზნესი განვითარდეს, რომ ქვეყანაში უნდა დამთავრდეს მონოპოლიების და ოლიგარქიული სტრუქტურების ხანა, მაგრამ შვიდი თვის მონიტორინგი ახალი მთავრობის საქმიანობისა სხვა რამეზე მეტყველებს, გაჩნდა გარკვეული მიმართულებები ბიზნესსა და ეკონომიკაში. მაგალითად, რკინიგზა, რომ რკინიგზასთან დაკავშირებული ყველა გადაზიდვა, ყველა ქვესაუწყებო სტრუქტურა რკინიგზისა თურმე არის სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. ჩვენ ყველა პარტნიორ პარტიასთან ერთად ვაცხადებდით, კეზერაშვილი რომ აკონტროლებს რკინიგზას და გადაზიდვებს, ეს არის ძალიან ცუდი. ახლა ისევ ჩნდება კითხვის ნიშნები, რომ ახლა სხვა ადამიანები აკონტროლებენ, პრემიერის ხელდასმით, სახელმწიფო ინსტიტუცია აკონტროლებს ისევ რკინიგზას და ეს არის სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლება. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ამას კეზერაშვილი გააკონტროლებს თუ ხუხაშვილი. იგივე ითქმის კვერცხის ბიზნესზე, რატომ უნდა იყოს ფოსტა მონოპოლისტურ მდგომარეობაში ჩაყენებული და რატომ უნდა იყოს დაჩაგრული ის კომპანია, რომელიც იგივე გადაზიდვებს ახორციელებს. არ დამთავრდა ნავთობპროდუქტების თემა. ჩვენ ყველა ერთხმად ვამბობდით, რომ ეს ბიზნესი სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნების ხელში იყო, ასევე ვიმედოვნებდით, როცა მოვა ახალი ხელისუფლება, ამ ბიზნესში მონოპოლია დასრულდება. ახალი ხელისუფლება მოვიდა, მაგრამ აქ მაინც არაფერი შეიცვალა. ანალოგიური ვითარებაა ფარმაცევტულ ბაზარზე, მხოლოდ კამპანიური შემთხვევებია, თითქოს საწვავსა და მედიკამენტებზე ფასები შემცირდა. ვიღებთ ისეთ მდგომარეობას, რომ ბიზნესის ნაწილი თავისთვის საქმიანობს და მას მართლა არავინ ეხება.

***– ეს რომელი ნაწილია ბიზნესის?***

– ეს გახლავთ მცირე ბიზნესი, მაგრამ მსხვილი ბიზნესი ექცევა ხელისუფლების ჩინოსნების გავლენის არეალში და მეორე მხრივ, სახელმწიფო თვითონ ქმნის საწარმოებს, მაგალითად, შპს მექანიზატორი, რომელიც კორუფციული სკანდალის ეპიცენტრში მოექცა. ეს არ ყოფილა იმის გარანტი, რომ კორუფცია არ იქნებოდა ამ სფეროში. ქვეყანაში ისეთი მიდგომაა, თითქოს ბიზნესი არის მტრის ხატი, ამის კონკრეტული მაგალითია ქალბატონი წულუკიანი, რომელიც მუდმივად ეუბნება ბიზნესმენებს, დიახ, თქვენ უნდა შეგზღუდოთ, იმიტომ, რომ თქვენი უფლებები შესაკვეცია. ამის ტიპური მაგალითი იყო შრომის კოდექსი. ბიზნესი ზოგადად კონსერვატორულია. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ბიზნესმენები გამოვიდოდნენ და ამ შრომის კოდექსს ასე გააკრიტიკებდნენ, მაგრამ ბიზნესიც აღშფოთდა ამ ცვლილებებით. თუ ბიზნესს არ შეუქმნი კომფორტულ გარემოს, ის არ განვითარდება, არ შეიქმნება სამუშაო ადგილები, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკაც ვერ გატარდება ქვეყანაში. ბიუჯეტში ფული არ შევა. ვერ გაიცემა ხელფასები და პენსიები და ყველა სოციალური პროგრამა ჩავარდება.

***– ივანიშვილმა ორი დღის წინ პრესკონფერენციაზე გააკრიტიკა რბილად იუსტიციის სამინისტრო და თქვა, რომ მას არ ჰქონია კონსულტაციები არც ადგილობრივ და არც უცხოელ ბიზნესწრეებთან ამ შრომის კოდექსთან დაკავშირებით.***

– სწორი შენიშვნა იყო, ამ შენიშვნის შემდეგ იმედს გამოვთქვამ, რომ შრომის კოდექსი მეტ-ნაკლებად უფრო იქნება მორგებული ბიზნესის ინტერესებზე. ჯერ ადრეა შეფასება, დაველოდოთ, როგორი იქნება საბოლოო ვარიანტი ამ კოდექსის.

***– ამავე პრესკონფერენციაზე ივანიშვილს ჟურნალისტებმა სთხოვეს შეეფასებინა, რომელი იყო ეკონომიკურ ბლოკში ყველაზე სუსტი რგოლი სამინისტროებიდან, დასახელდა ჟურნალისტის მიერ ეკონომიკის სამინისტრო, შვიდი თვის თავზე თქვენ აცხადებთ, რომ პირდაპირი უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მაჩვენებელი დაბალია. როგორ შეაფასებთ ეკონომიკის სამინისტროს საქმიანობას?***

– ეკონომიკის სამინისტრო თავისი პერსონალიებით, ისევე, როგორც ფინანსთა და სხვა სამინისტროები, კარგი კადრების დეფიციტს არ განიცდიან. მაგრამ ცალკე ეკონომიკის სამინისტრო ეკონომიკური პოლიტიკის არც ჩამომყალიბებელია და არც გამტარებელი. ამ პოლიტიკას ქვეყანაში აყალიბებს მხოლოდ ერთი ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი. როცა ვსაუბრობთ რამდენად ეფექტურია ეკონომიკური ან ფინანსური პოლიტიკა, უნდა ვისაუბროთ იმაზე, რამდენად ეფექტურია ივანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკა. საქსტატის ციფრებია შემაშფოთებელი, არ ვიზიარებ ნაციონალების და მერაბიშვილის პათოსს, რომ ეკონომიკა ინგრევა, მაგრამ თუ ხელისუფლება ქმედით და გადამჭრელ ქმედებებს არ მიმართავს, ანტიკრიზისულ გეგმას არ შეიმუშავებს, შეიძლება ეკონომიკაც დაინგრეს და ქვეყანაში კრიზისი წარმოიშვას. დღეს ბიუჯეტში მეტ-ნაკლებად ნორმალურად არის შემოსავლები, არც საბიუჯეტო კრიზისის ნიშნები გვაქვს, მაკროეკონომიკური პარამეტრები მთლიანი შიდა პროდუქტი და საბანკო აქტივობა არის გაუარესებული. საშიშია, როცა ეკონომიკური მაჩვენებლების კლებას აქვს ტენდენციური ხასიათი და კიდევ უფრო საშიშია, როცა ამას ხელისუფლება ხვდება ფეხი ფეხზე გადადებული. არ ვართ ჩასაფრებულ მდგომარეობაში, არ გვიხარია ამ მთავრობის წარუმატებლობა, მე ამ ქვეყნის გულშემატკივარი ვარ და ამავე დროს ამ მთავრობისაც.

***– რით ვერ დასრულდა საუბარი იმაზე, რომ საქართველოში მცირე ბიზნესს ხელი უნდა შეეწყოს? რა რჩევა შეგიძლიათ მისცეთ მემარჯვენეებმა ამ მთავრობას?***

– წინასაარჩევნო პერიოდში ყველა პოლიტიკური ძალა კოზირად იყენებდა იმ თემას, რომ მცირე ბიზნესი უნდა განვითარდეს, ეს ახალმა ხელისუფლებამ არჩევნების შემდეგ დაივიწყა. არაფერი გაკეთებულა მცირე ბიზნესისთვის.

***– შეიძლება ითქვას, რომ მიტოვებულია და თავისთვის არსებობს?***

– დიახ, ყოველთვის მიტოვებული იყო, შევარდნაძის, სააკაშვილის და ახლა ივანიშვილის დროსაც. მცირე ბიზნესი ყველაზე უკეთ აგვარებს სოციალურ პრობლემებს, ამაში ის ყველაზე მეტად არის ელასტიური. ჩვენი პროგრამა ახალ მემარჯვენეებს მთლიანად მცირე ბიზნესზე გვქონდა აგებული და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად ჩვენს პრიორიტეტს მცირე ბიზნესის განვითარებაც წარმოადგენს. მსხვილ ბიზნესს ყოველთვის ჰყავს ლობისტები ხელისუფლებაში, მას არ უჭირს ძვირადღირებული ადვოკატების და აუდიტორების დაქირავება, კომუნიკაციის პრობლემა ხელისუფლებასთან არა აქვს და მცირე ბიზნესი უპატრონოდ არის დატოვებული. მშპ-ს 75%-ს განვითარებულ ქვეყნებში ქმნის სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი. დასაქმებული ადამიანების 90%-ს ქმნის მცირე და საშუალო ბიზნესი. დღევანდელი საგადასახადო კოდექსი ამბობს, რომ მცირე ბიზნესად არის მიჩნეული მხოლოდ ფიზიკური პირის აქტივობა, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები და შპს-ები, ამ მცირე ბიზნესის სტატუსს ვერ იღებენ. გამარტივებული საგადასახადო რეჟიმით სარგებლობის უფლებას ვერ იღებენ. უნდა დაიბეგროს მცირე ბიზნესი, მაგრამ ის უნდა სარგებლობდეს გამარტივებული რეჟიმით იმიტომ, რომ მას სოფლადაც და ურბანულ დასახლებებშიც უდიდესი პოტენციალი აქვს. მას უნდა ჰქონდეს გარკვეული კომფორტი სახელმწიფოს მხრიდან შექმნილი.

***– იქნებ შეაფასოთ დღევანდელი საგადასახადო კოდექსი და ხომ არ არის საჭირო მისი კიდევ უფრო ლიბერალიზაცია?***

– წინა ხელისუფლების დროს ბევრი ცვლილება იყო საგადასახადო კოდექსში, შემცირდა გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები, მაგრამ მხოლოდ ეს არ ნიშნავს ლიბერალიზაციას, ყველაზე დიდი ტვირთი არის ბიზნესმენისთვის ადმინისტრირების ნაწილი ამ კოდექსში. ახალმა ხელისუფლებამ და ფინანსთა სამინისტრომ რიგი ცვლილებები შეიტანა ამ კოდექსში, ეს ეხებოდა სალარო აპარატებზე ჯარიმების რაოდენობას ხუთასიდან ორას ლარზე ჩამოვიდა, ეს კარგია, მაგრამ საკმარისი ეს მაინც არ არის. პირველი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ მერე შეჩერდა ყველაფერი. ხადურმა ძალიან კარგად იცის როგორც ბიუჯეტი, ისე ბიზნესის საჭიროებები, ისევ უნდა დაუბრუნდეს ამ თემას. ხელისუფლებამ უნდა გაიაზროს, რომ მეწარმე არ არის მისი კლასობრივი მტერი, არამედ ბიზნესმენი მისი პარტნიორია. როცა მთავრობაც და კერძო ბიზნესიც საზოგადოების სიკეთეს ემსახურება, მაშინ არიან ისინი ეფექტურები.

***– ივანიშვილი ამ შვიდი თვის მანძილზე ხვდებოდა ბანკირებს და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს, არის იმის საჭიროება, რომ ის შეხვდეს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს?***

– ბუნებრივია, ამ ნაწილს ყოველთვის უჭირს თავისი პრობლემების და სატკივრის მიტანა ხელისუფლებამდე. გასაგებია, რომ შვიდ თვეში ეკონომიკაში სასწაული არ მოხდებოდა, მაგრამ პრიორიტეტები უნდა გამოიკვეთოს, ეს შეხვედრა იმისათვის არის საჭირო, რომ ბიზნესმა იგრძნოს, პრემიერი ხვდება მათ პრობლემებს და ეხმარება მათ ამის დაძლევაში. ნოვაცია უნდა ყოფილიყო ახალი ხედვის ჩამოყალიბება ახალი ომბუდსმენის დანიშვნის შემდეგ, სამწუხაროდ, ამ პოტენციალს ჩვენ ვერ ვიყენებთ.

***– ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა, ეს იყო ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება ამ ხელისუფლებისა, როგორია ამაზე თქვენი პოზიცია?***

– დიახ, ეს მეტად აქტუალური თემა იყო ქართული ოცნებისთვის წინასაარჩევნოდ. ახლა მიჩნდება შთაბეჭდილება, რომ პრემიერის გარემოცვა ხელოვნურად ცდილობს ამ თემის დაბლოკვას, როცა გავლენის სფეროების გადანაწილებაზე ვსაუბრობთ. ვერ გაბედავენ ხელისუფლების მაღალჩინოსნები ბიზნესში ჩარევას მაშინ თუ ეს სამსახური ამოქმედდება. ხელოვნური დაბლოკვა საშიში ტენდენციაა და ამას ყურადღება უნდა მიაქციოს პრემიერ-მინისტრმა.

## გურამ დონაძე: „რობაქიძის საქმეზე გამოძიება ჩიხშია შესული“



ბუტა რობაქიძის საქმეში ბრალდებული გურამ დონაძის განცხადებით, გამოძიება ჩიხშია შესული და მთავარი პროკურატურა სასამართლო პროცესის გადადებას უკვე მეხუთედ ითხოვს.

როგორც დონაძემ გუშინ ჟურნალისტებს პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ განუცხადა, პროკურატურა მიზეზად იმას ასახელებს, რომ დასაკითხები არიან ის პოლიციელები, რომლებიც კიდევ ერთი ბრალდებულის – ირაკლი ფირცხალავას მიერ გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანან.

„პროკურატურა მათ არ კითხავს. ხუთიდან არც ერთი პოლიციელი არ დაუკითხავს. მათგან ორი – ლიპარტელიანი და ლობჟანიძე თავისი ნებით მივიდნენ დასაკითხად, თუმცა ისინი დააპატიმრეს. დღეს დაგვიბარეს ბრალდებულები და ადვოკატები. მათ კიდევ ერთხელ უნდათ სასამართლო პროცესის გადადება. სასამართლო 30 მაისს უნდა გამართულიყო, თუმცა შემოგვთავაზეს, 30 ივნისამდე გადაიდოს. ბრალი უსაფუძვლოდ არის წაყენებული და გამოძიება ჩიხშია შესული“, – აცხადებენ ბრალდებულები.

გარდა ამისა, მათივე ინფორმაციით, პროკურატურა იმ მიზეზს ასახელებს, რომ საქმეში „ბარაბნიანი“ პისტოლეტი იყო ამოღებული და საჭიროა, დადგინდეს, როგორ მოხვდა ის კერძო პირის ხელში.

„უკვე არაერთი ექსპერტიზაა ჩატარებული იმ ვიდეოკადრებზე, რომლებიც ირაკლი ფირცხალავამ გაავრცელა და ყველა მათგანი, მათ შორის შს სამინისტროს ექსპერტიზა ადასტურებს, რომ კადრები უწყვეტი და ავთენტურია.მოვითხოვთ, საქმე დროულად გადაეცეს სასამართლოს, რათა დადგინდეს, რეალურად ვართ თუ არა უდანაშაულოები“, – დასძინა დონაძემ.

ფრონტნიუსი

## გარემოს დაცვის მინისტრი პრესკონფერენციას გამართავს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, დღეს, პრესკონფერენცია ჩატარდება, სადაც, მინისტრი ხათუნა გოგალაძე, საზოგადოებას და მედიას, სამინისტროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციას წარუდგენს.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს სამინისტრომ პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი წარუდგინა, რომელიც 50-მდე კანონპროექტისაგან შედგებოდა.

პრესკონფერენციის ფარგლებში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი განხორციელებული ცვლილებების მნიშვნელობის, ახლადშექმნილი უწყებების უფლებამოსილებისა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ისაუბრებს.

ნიუსპრესი

## 2008 წლის ომის გამოძიებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაცია მთავრობას მიმართავს

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დღეს, 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა.

„გვსურს, კიდევ ერთხელ მივმართოთ საქართველოს მთავრობას და გავაფრთხილოთ, რომ 2008 წლის ომის გამოძიებაზე მუდმივი აპელირება და საქართველოს მთავრობის დადანაშაულების მცდელობა განუზომლად ზრდის ოკუპირებული რეგიონების სხვადასხვა ქვეყნების მიერ აღიარების რისკს.

ახალი ხელისუფლების ამგვარ დამოკიდებულებას შეიძლება მოყვეს კატასტროფული შედეგი ჩვენი ქვეყნისათვის, რაზეც პასუხისმგებლობა მთლიანად ამ გამოძიების ინიციატორებს დაეკისრებათ.

საქართველოს ხელისუფლების დიპლომატიური ჩარევის შედეგად ოკუპანტმა სახელმწიფომ ჩვენი ტერიტორიების აღიარების საკითხთან დაკავშირებით მიზანს თითქმის ვერსად მიაღწია. სწორედ ამ დიპლომატიის შედეგია, რომ ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია, ისევე როგორც მსოფლიოს სახელმწიფოები, ერთეული რეჟიმების გამოკლებით, აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთის მიერ საქართველოს განუყოფელი რეგიონების ოკუპაციის ფაქტს. ასევე, ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტში ასახულია ტერმინი „ოკუპაცია“, რაც ქმნის იმის გარანტიას, რომ გარდაუვლად დადგება დეოკუპაციის დროც“ – ნათქვამია განცხადებაში.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოზიციით, ნებისმიერი ხელისუფლების ვალდებულებაა, მუდმივად იცავდეს საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, რაც თანმიმდევრულ პოლიტიკასა და მსოფლიოს ლიდერებთან აქტიურ ინტერაქციასაც გულისხმობს.

„სამწუხაროდ, ამჟამინდელი მთავრობის ზემოაღნიშნული პოზიცია 2008 წლის ომის გამოძიებასთან დაკავშირებით, არათანმიმდევრული დიპლომატია და განცხადებები კოსოვოს მოდელის მისაღებობის შესახებ, დასახელებულ მიზნებს ვერ მოემსახურება.

საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე კვირის წინ სპეციალური წერილით მიმართა პრემიერ-მინისტრს, რომელშიც განუმარტავდა არაღიარების პოლიტიკასთან დაკავშირებულ დეტალებს და სთავაზობდა თანამშრომლობას ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, ამ წერილს არავითარი რეაგირება არ მოყოლია.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ პრემიერ-მინისტრსა და მთლიანად მთავრობას, კარგად დაფიქრდნენ მათი ქმედებების შესაძლო კატასტროფული შედეგების შესახებ და, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, მოახდინონ პოლიტიკის კორექტირება ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს პრეზიდენტი კვლავაც გამოთქვამს მზადყოფნას, მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს მთავრობასთან არაღიარების პოლიტიკისა და რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის, ისევე როგორც ქვეყნის უსაფრთხოებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმართულებით“ – აცხადებენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ნიუსპრესი

# ექიმები დიდი აქციისთვის ემზადებიან

მერი ნამორაძე

მედიკოსთა საპროტესტო აქციები ასე თუ ისე მიწყნარდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემები მოგვარდა. სადაზღვევო კომპანიების მიერ სამედიცინო დაწესებულებებისადმი დაგროვილი დავალიანება დღითიდღე იზრდება და გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს. ჯანდაცვის სამინისტრო მდუმარედ ადევნებს ამ პროცესს თვალს და ექიმებსა თუ პაციენტებს იმით „ამშვიდებს“, რომ სადაზღვევო კომპანიებს ვალდებულებები აქვთ შესასრულებელი და მომჩივან მხარეს სასამართლოში შეუძლია არკვიოს თავისი ბედი. ისეთი პირი უჩანს, სახელმწიფო ერთი ხელის მოსმით პრობლემის მოგვარება ვერ თუ არ ბედავს, არადა, სადაზღვევო კომპანიების თამაშგარე მდგომარეობაში დატოვების რეალური ბერკეტები სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს და გააჩნია კიდეც. მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ, ჯონი ჯანაშიამ ექიმთა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის გამართვა არ გამორიცხა. „ახალი თაობა“ შექმნილ პრობლემებზე ჯანაშიას ესაუბრა:

***–ორიოდე თვის წინ სხვადასხვა რეგიონის მედიკოსებმა სადაზღვევო კომპანიების წინააღმდეგ საპროტესტო აქციები გამართეს და სახელფასო დავალიანების გასტუმრება მოითხოვეს. თუ შეიცვალა ვითარება და რამდენად გადაწყდა ეს პრობლემა?***

– ვითარება ზოგან შეიცვალა, ზოგან არა, მაგრამ საერთო ჯამში სურათი უცვლელია იქიდან გამომდინარე, რომ ვერ ნახავთ ვერც ერთ სამედიცინო დაწესებულებას, რომლის ვალი არ ჰქონდეს სადაზღვევო კომპანიას. ამან მიიღო მასობრივი ხასიათი, რომ ექიმები თვეობით ვერ იღებენ ხელფასებს. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინ საშინელი მდგომარეობა იყო საავადმყოფოებში, კერძოდ ჩოხატაურში, ოზურგეთში, სადაც ხალხს ექვსი თვის აუღებელი ხელფასი ჰქონდა. კერძოდ, ჩოხატაურში ასე სურათს წავაწყდით, საავადმყოფოები „ადითს ეკუთვნის და ისეთ ვითარებაში იყვნენ ექიმები, კვერცხის საყიდელი ფული არ ჰქონდათ. ეს საავადმყოფოები აპირებდნენ გამოსვლას. დავუკავშირდი ადგილობრივ ექიმებს და საშინელი სურათი დაიხატა. მოგეხსენებათ, საავადმყოფოს და ექიმის გაფიცვა წარმოუდგენელი რამ გახლავთ, რადგან ურგენტულ ავადმყოფებთან, როდესაც ექიმები აწყობენ ამა თუ იმ საპროტესტო აქციას, ყოველთვის რჩება ვილაც, მაგრამ თავად ექიმებმა მითხრეს: ჩვენი ღირსება იმდენად დაცემულია, იმდენად შეცვლილია ექიმების მიმართ დამოკიდებულება, იმდენად ღირსებააყრილები ვართ, რომ ჩვენ მზად ვართ,




წავიდეთ ციხეში, ოღონდაც ჩვენი სათქმელი ბოლომდე ვთქვათო. დამჭირდა ძალიან დიდი ძალისხმევა იმისთვის, რომ გადამერწმუნებინა ისინი და დავდექი შუაში გარკვეულ წრეებსა და ექიმებს შორის. ამის შედეგად მათ მიიღეს ორი თვის ხელფასი თებერვლის თვემდე. რაც შეეხება დანარჩენი თვეების ხელფასს, ჯერ კიდევ გაუცემელია. ერთად მუშაობენ ცოლ-ქმარი ექიმი, რომლებსაც სხვა არანაირი შემოსავლის წყარო არ გააჩნიათ. ჰყავთ მოხუცი მშობლები და სამი შვილი. რა ქნას ამ ადამიანმა, როცა ამდენი ხანი ხელფასი არ აუღია? ჯერ ისედაც რა არის ექიმის ხელფასი, რომ ამასაც თვეობით არ აძლევენ? ამ ეტაპზე ოზურგეთსა და ჩოხატაურში ჯერ კიდევ თებერვლის თვიდან დღემდე მოყოლებული არაფერი აქვთ აღებული. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რეგიონებშიც, მაგალითად, რაჭაში. სადაც უნდა წახვიდე, ყველგან ერთი და იგივე სურათი იხატება.

***– რეგიონები „დაიბრიყვეს“ სადაზღვევო კომპანიებმა თუ. . .?***

– არც უმაგისობაა, თუმცა არც თბილისის ექიმებს ადგათ კარგი დღე. ეს პრობლემა ყოველთვის დარჩება პრობლემად, ვიდრე საავადმყოფოების მართვის შუალედური რგოლი და გარკვეული პროგრამების მართვის იქნებიან კერძო კომპანიები, რომლებიც ფაქტიურად თანხის გამტარის როლს ასრულებენ. თანხას სახელმწიფო ურიცხავს, მაგრამ ექიმამდე არ მიდის.

***– ადრე, წინა ხელისუფლების პერიოდში რატომ არ იქმნებოდა ასეთი პრობლემები?***

– რა გითხრათ? ეს დაგროვდა, დაგროვდა და აქამდე მოვიდა. თორემ პრობლემა ახალი არ არის. წინა ხელისუფლების პერიოდში ჩაიდო ეს მარცვალი. ნამდვილად ვიცი ახლანდელი ჯანდაცვის სამინისტროს განწყობა, უბრალოდ, ერთი ხელის დაკვრით არ ხდება ამის ერთბაშად მოგვარება.

***–მინისტრმა მედიკოსებს ურჩია, სასამართლოს მიმართეთო. ეს არის გამოსავალი?***

–ესენი არიან კერძო კომპანიები და კერძო საავადმყოფოები, სადაც სახელმწიფო სტრუქტურა ორ კერძო პირს შორის ვერ აგვარებს ურთიერთობას. ეს უნდა მოხდეს ერთბაშად, ტოტალურად თუ როგორც იქნება, სადაზღვევო კომპანიებმა თავიანთი საქმე უნდა აკეთონ და არა საავადმყოფოები მართონ მათში თანხების გადანაწილება-გადმონაწილებით.

***– თუ იყო პრეცედენტი სამართლოში მიმართვისა ექიმების მხრიდან?***

– რამდენადაც ვიცი, შეტანილია ბევრგან, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ სადღაც რაღაც შედეგია მიღწეული.

***– ანუ გამოსავალი ჯერ არ ჩანს?***

–ჯერჯერობით არ არის, მაგრამ რაღაც იმედები არსებობს. უნდა იყოს ერთიანი კეთილი ნება ჯანდაცვის სამინისტროსი და ალბათ, პარლამენტისა, რომ დროზე იქნეს მონახული საშუალებები, რათა დროზე მოხდეს ჩანაცვლება სახელმწიფო სტრუქტურებისგან, სადაზღვევო კომპანიებისა. სიტუაცია ასეთია – ავადმყოფზე გამოყოფილია 20 ლარი და ავადმყოფამდე მიდის 1 ლარი და 15 თეთრი. სად მიდის დანარჩენი თანხა? ამდენი ხნის განმავლობაში ექიმთა უფლებები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. აუღებელი ხელფასები, დაბალი ხელფასები, უმიზეზოდ გათავისუფლებული ხალხი. . .

***– თქვენ ადრე აღნიშნეთ, რომ სადაზღვევო კომპანიები არ მოდიოდნენ სოციალურ დიალოგზე, ამ კუთხით თუ შეიცვალა ვითარება?***

–მხოლოდ „ჯი-პი-აი ჰოლდინგზე“ შემიძლია ვთქვა, რომ ამ ხალხთან ლაპარაკი შესაძლებელია. დანარჩენებზე ვერაფერს გეტყვით. ვერც „არქიმედეზე“, ვერც „აი-სი ჯგუფზე“, ვერც ვერაფერზე.

***–ექიმების მწირი ხელფასი ახსენეთ, ამ ზღვარს სადაზღვევო კომპანიები ადგენენ?***

– რა თქმა უნდა. აი, მაგალითად, „აი-სი-ჯგუფი“. რაჭის ერთ-ერთ საავადმყოფოში, ამბროლაურში მქონდა შეხვედრა ექიმებთან. მანამდე არცნობილი და არგაგონილი დაფინანსების რანჟირების მეთოდი მოუფიქრებიათ: თუ ერთი დაავადების მქონე 4 ადამიანი არ გაატარა ექიმმა, მას ერთ კაპიკსაც არ აძლევენ. წარმოიდგინეთ კარდიოლოგი, რომელიც ღამეებს უთევს ავადმყოფს, ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ ღამის თევაში, ანუ მორიგეობაში არანაირი დამატებითი გადასახადი არ აქვთ ექიმებს. ვთქვათ, შემოვიდა ავადმყოფი გულის უკმარისობით, რომელიც იხდის 570 ლარს, მას ექიმი უთენებს ღამეს, გამოაჯანმრთელებს და უშვებს სახლში. ასეთი ორი ავადმყოფი იყო ექიმის მიერ გატარებული, როდესაც ვიყავი რაჭაში. თუ კიდევ ორი ავადმყოფი არ შემოვიდა ანალოგიური დაავადებით, მას ერთ კაპიკს არ აძლევენ. მეოთხედან იწყება 20 პროცენტის გადახდა და შემდეგ უფრო და უფრო მატულობს, მაგრამ თუ გაატარა მილიონი ავადმყოფი, მაინც არ მისცემენ 1500 ლარზე მეტს, რადგან ეს 1500 ლარი არის ჭერი. ასეთი სიტუაციაა. შეიძლება ექიმს ჰქონდეს ხელფასი 10 ლარი, 20 ლარი, 30 ლარი? რაჭის საავადმყოფოებში ასეა.

***– როცა საექიმო შეცდომა დგება და პასუხისმგებლობა ექიმს ეკისრება, სადაზღვევო კომპანიები თუ იღებენ რაიმე პასუხისმგებლობას თავიანთ თავზე?***

– არანაირად არ იღებენ. ცალკე არსებობს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, ოღონდ ეს არ არის დაწესებული ამ სადაზღვევო კომპანიების მიერ და არ ტარდება თანამშრომლების მიმართ. თუ ასეთი დაზღვევა აქვს ექიმს, შეიძლება საუბარი, რომ ექიმი გადარჩეს მძიმე დანაშაულს, არადა, საექიმო შეცდომის გარეშე ექიმი არ არსებობს ბუნებაში.

***– აქციების განახლებას ხომ არ აპირებენ მედიკოსები?***

– პერმანენტულად აქციებს ვატარებთ, მაგრამ მომწიფდა ის ვითარება, რომ ერთი ძალიან დიდი, ფართომასშტაბიანი აქცია გავმართოთ. მთავარია კიდევ ის, რომ ექიმები გვენდონ ჩვენ და გაითავისონ, რომ მათი ბედი მათსავე ხელშია და სხვა მათ საქმეს არავინ გააკეთებს. ჩვენ კი ყველაფერს გავაკეთებთ მათ დასაცავად.

# რა პრობლემები აქვს ტყიბულს

როლანდ ხოჯანაშვილი

,,ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

**,,ახალ თაობას" ტყიბულის მკვიდრი გიორგი ქარქაშაძე დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ტყიბულში ცხოვრება გაუსაძლისია ქვანახშირის წარმოების შედეგად წარმოქმნილი მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამო.**

ისტორიულ წყაროებში პირველად ტყიბული (ტყვიბული) მე-13 საუკუნის მეორე ნახევარშია მოხსენებული. აგიაშვილების საგვარეულოს მფლობელობაში არსებული ეს დასახლებული პუნქტი სამრეწველო დაბა გახდა მე-19 საუკუნეში, შემდეგ, 1939 წელს კი–რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო. ქართველი (და არა მარტო ქართველი) მეწარმეები ტყიბულის ქვანახშირს დიდ ყურადღებას უთმობდნენ და მის საწარმოო ღირებულებას დადებითად აფასებდნენ. ტყიბული მდიდარია ისეთი წიაღისეულით, როგორიცაა ტეშენიტი, ფიქლები, კალცედონი, ბარიტი, კვარცი, მარმარილო, ბაზალტი, გიშერი, თიხები.

მიუხედავად ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრისა, ტყიბული ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ მუნიციპალიტეტად ითვლება. მთლიანად მუნიციპალიტეტი ოკრიბის ანუ ტყიბულის ქვაბულში მდებარეობს და ჰიფსომეტრიულად 800 მეტრამდე აღწევს. ეს სიმაღლე



ხელს უწყობს ტიპური კოლხური ტყის განვითარებას. ბზა, უთხოვარი, წაბლი და სხვა ძვირფასმერქნიანი მცენარეები, რომელიც ოკრიბის ტყეებისათვის არის დამახასიათებელი, ვანდალური მოპყრობის გამო განადგურების პირასაა. სოფელ სოჩხეთში, მიკროკლიმატის გამო, დგას ხე, რომელიც 1500 წლის უნდა იყოს დაახლოებით.

რამდენიმე ადგილას აღმოჩენილი მინერალური წყლები შესასწავლია როგორც ქიმიური შედგენილობის, არამედ დებიტის თვალსაზრისითაც. საინტერესოა მუნიციპალიტეტის მიწის ფონდიც: სავარგულად გამოიყენება დაახლოებით 12 ათასამდე ჰექტარი მიწა, რომელიც ძირითადად მესიმინდეობისთვის გამოიყენება. იყო დრო, როცა ტყიბულის სოფლის მეურნეობა ძირითადად სპეციალიზებული იყო მეჩაიეობაზე. მართალია, 200 ჰექტარი ჩაის პლანტაცია დიდი ფართობი არ არის, მაგრამ ტყიბულისათვის ამ პლანტაციების ექსპლოატაცია გარდა ადგილობრივების დასაქმებისა, ეროვნული წარმოების აღორძინების დასაწყისიც იყოს ოკრიბაში. დღევანდელობისათვის ტყიბულელების უმეტესობა ან ქვანახშირის წარმოებაში არიან დასაქმებული, ან ვიწროფერმერულ მეურნეობაში. მსხილფეხა პირუტყვი, მეფუტკრეობა-მეხილეობა საოჯახო მოთხოვნებს უკმაყოფილებს ადგილობრივებს.

ტყიბულის ეკონომიკის ძირითადი საფუძველი მაინც ქვანახშირია. 1825 წელს აღმოჩენილი საბადო ექსპლოატაციაში შევიდა 1846 წელს. სავარაუდო ბალანსური მარაგი 300 მილიონ ტონაზე მეტია, გეოლოგიური მარაგი კი მილიარდ ტონამდეა. 2006 წელს შეწყვეტილი ქვანახშირის წარმოება აღდგა, თუმცა წინანდელი მასშტაბებით სამთო-მოპოვებითი მრეწველობა ვერ განვითარდა. რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რომელიც ძირითადი მომხმარებელი იყო ტყიბულის ქვანახშირის, შემცირებული წარმადობის გამო მოთხოვნას საწვავზე ზედმიწევნით ამცირებდა.

მიუხედავად ტყიბულის ქვანახშირის მოპოვების შემცირებისა, ეკოლოგიური პრობლემები მუნიციპალიტეტში კვლავ არსებობს.

გიორგი ქარქაშაძემ, რომელმაც ფოტოსურათიც მოგვაწოდა, გვითხრა: ,,აი, ჩემი სახლის წინ გადაღებულ სურათს გიგზავნით, ეს არის პრობლემის პატარა ნაწილი, აქ ზაფხულში ჯოჯოხეთია. ამ ადგილას ვაკე ტერიტორია იყო, ახლა ნახშირის მთები გადაჰყურებს 5 სართულიან შენობებს. წარმოიდგინეთ ხმაური, ნახშირის მტვერი და მწვანე რეკრეაციულ ზონაში ბავშვები“.

ტყიბულის მოსახლეობისათვის მხოლოდ ეკოლოგიური პრობლემები არ არის მტკივნეული. მოშლილი ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, ტოტალური უმუშევრობა და სოციალური საკითხები მოსაგვარებელია. მეშახტეთა ხელფასი, შრომითი კონტრაქტები და დამსაქმებლებთან დამოკიდებულება საყურადღებოა. მუნიციპალიტეტს აქვს პერსპექტივა რესურსების საფუძველზე, ასევე ტურისტული მეურნეობის განვითარება ტყიბულს მასშტაბურს თუ არა, ნაწილობრივ მატერიალურ კეთილდღეობას მაინც მოუტანს. გელათი, რომელიც ბაგრატის ტაძრისა და მოწამეთის კომპლექსთან ერთად, მნიშვნელოვან ტურისტულ მარშრუტს წარმოადგენს, ყოველდღიურად, განსაკუთრებით ზაფხულობით, მნიშვნელოვან შემოსავალს მოუტანს რეკრეაციულ მეურნეობაში ჩაბმულ ადამიანებს.

# დავით გალეგაშვილი სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, დავით გალეგაშვილი კახეთის რეგიონში იმყოფებოდა და 14 მაისს სეტყვის შედეგად დაზარალებული სოფლები მოინახულა. მინისტრის მოადგილემ სოფელ ვეჯინში, კარდენახში, ბაკურციხესა და კოლაგში სტიქიის შედეგად დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაათვალიერა და არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნო. დავით გალეგაშვილი მოსახლეობასაც შეხვდა და დახმარება აღუთქვა.

,,ჩვენ მოვინახულეთ სტიქიის შედეგად განადგურებული ნაკვეთები და დაზიანებული ნარგავები. მდგომარეობა რთულია და მოსახლეობას დახმარება სჭირდება. უახლოეს დღეებში, სოფლის მეურნეობის სამინისტრო სტიქიით დაზარალებულ სოფლებს სპეციალურ, სპილენძის შემცველ პესტიციდებს გადასცემს, რომელიც აუცილებელია სეტყვით დაზარალებული ვაზის, ხეხილისა და მცენარეთა დაცვისთვის. ეს დაეხმარება მოსახლეობას, გარკვეულწილად შეამციროს მიყენებული ზარალი,“ – აღნიშნა დავით გალეგაშვილმა.



ოფიციალური ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კახეთის რაიონული სამსახურის თანამშრომლები ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებიან და აქტიურ კონსულტაციას უწევენ დაზიანებულ სავარგულებში აუცილებელი სამუშაოების ჩატარების კუთხით.

კახეთის რეგიონში უკვე შექმნილია სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ადგილობრივ თვითმართველობის წარმომადგენლები, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმამდგენლები. კომისიის მიერ ზარალის დათვლა უკვე დაწყებულია.

მედიანიუსი

# რა არის საავტორო უფლებათა ასოციაციის სტრატეგია?

ეკა ირემაშვილი



**საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციამ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში მორიგი საერთო კრება გამართა, რომლის დღის წესრიგშიც წარმოდგენილი იყო 2012 წლის საქმიანობის შეჯამება, წლიური ანგარიშის წარდგენა და დამტკიცება და ასოციაციის მომავალი საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების წევრებისთვის გაცნობა. კრებას ესწრებოდნენ კომპოზიტორები, რეჟისორები, მწერლები, მხატვრები და ასოციაციის სხვა წევრები.**

კრებაზე საზოგადოების თავმჯდომარემ გიგა კობალაძემ წარმოადგინა 2012 წლის საქმიანობის ანგარიში, რომლის დამტკიცების მიზნითაც ჩატარდა კენჭისყრა. კრებაზე წევრებს ეცნობათ საზოგადოების მომავალი სტრატეგიული გეგმების შესახებ. დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა ასოციაციის წევრთა მოხსენებები, განხორციელებული საქმიანობის, არსებული პრობლემატიკის და მისი გადაჭრის გზების შესახებ. წლიური ანგარიში კრების მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული.

– კრებაზე ასევე შეჯამდა 2012 წლის საქმიანობის შედეგები. დაინტერესებულმა პირებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს ასოციაციის მიერ 2012 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის, მათ შორის გაცემული ლიცენზიების, შეგროვებული და ავტორებზე განაწილებული ჰონორარების რაოდენობის, საავტორო უფლებათა დარღვევების გამოვლენის, სასამართლოში საქმეთა წარმოების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. წლიური შედეგების შესახებ ინფორმაცია უახლოეს დღეებში ბეჭდური სახითაც გამოქვეყნდება, – განაცხადა საავტორო უფლებათა ასოციაციის წარმომადგენელმა ქეთი ებანოიძემ.

ამავე სხდომაზე შედგა „ავტორის უბის წიგნაკის“ პრეზენტაცია.

– უბის წიგნაკები საავტორო უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, ავტორთა უფლებების უკეთ უზრუნველყოფის და საავტორო უფლებების დაცვის საქმეში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით, ასოციაციის მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა. უბის წიგნაკებში დეტალურად არის განმარტებული ავტორთა უფლებები და მისი დაცვის არსებული მექანიზმები. უბის წიგნაკები ავტორებს უსასყიდლოდ გადაეცათ, რაც მათ ხელს შეუწყობს საკუთარი უფლებების უკეთ რეალიზებასა და დაცვაში, – განმარტა საავტორო უფლებათა ასოციაციის წარმომადგენელმა.

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ ყველა სეგმენტში მომუშავე ხელოვანის საავტორო უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული. ეტაპობრივად ასოციაცია მართავს შეხვედრებს როგორც მსახიობებთან, ასევე რეჟისორებთან, მხატვრებთან, ლიტერატურის სფეროში მომუშავე ადამიანებთან, რომ მათი უფლებების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდოს.

ასოციაციის წარმომადგენლები ლიტერატურის მოღვაწეებს მწერლებს, პოეტებს, მთარგმნელებსაც შეხვდნენ. ეს შეხვედრა ემსახურებოდა საქართველოში საავტორო უფლებების შესახებ არსებული მდგომარეობის გაცნობას, საავტორო უფლებების უკეთ რეალიზებისა და დაცვის მიზნით ასოციაციაში ახალი წევრების გაწევრიანებას, ასევე საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში ავტორთა ჩართულობის გაზრდას.

შეხვედრების მონაწილეები დეტალურად გაეცნენ ასოციაციის საქმიანობას, ასოციაციაში გაწევრიანების პროცედურას, საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმებსა და ასოციაციის მიერ შეთავაზებული დახმარების საშუალებებს.

ასოციაციის ხელმძღვანელი გიგა კობალაძის თქმით, მსგავს შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა საავტორო უფლებათა სფეროში არსებულ პრობლემატიკასა და მისი გადაჭრის გზებზე.

მიუხედავად საავტორო უფლებების დაცვის პროპაგანდისა, დარღვევები მაინც იჩენს ხოლმე თავს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ დიდი ოდენობით კონტრაფაქციული სიდი და დივიდი პროდუქცია იქნა გამოვლენილი და ამოღებული. გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისში, ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე, ცნობილი ავტორების და შემსრულებლების ვიდეო და აუდიო დისკების არალიცენზირებული ვერსიების დამზადება-რეალიზაცია ხდებოდა. მათ შორის იყო ლილიკო ნემსაძის, ბერას, ნანი ბრეგვაძის ალბომები. ალბომებს სანო სტუდიის ლოგოც ჰქონდა, რის გამოც სტუდიამ და მისმა ხელმძღვანელმა მერაბ სანოძემ ათასობით ლარის ზარალი ნახა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მეოთხე ნაწილით დაიწყო, რაც 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– ამ მიმართულებით სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების აქტიურობა, მომავალში ხელს შეუწყობს როგორც ავტორთა უფლებების დაცვას, ასევე ამ სფეროში არსებული კომპანიების საქმიანობას, – მიაჩნიათ საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციაში.

ტელეკომპანია „მაესტრო“ ქართულ ვებ-გვერდებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს. საკითხი ეხება ტელეკომპანიის მიერ, ექსკლუზიური უფლებით შეძენილი და ქართულად დუბლირებული სერიალის „სიყვარული და სასჯელი“ ვებგვერდებზე ნებართვის გარეშე განთავსებას. ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა ვებ-გვერდების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის აღძვრას გეგმავს, რა შემთხვევაშიც უკანონო განთავსების აკრძალვას და ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს. პრობლემის დარეგულირებაში ტელეკომპანიას დახმარებას ასოციაციაც გაუწევს. საკითხის შესწავლისა და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, ასეთი ვებ-გვერდების მიმართ გატარებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები.

ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისში ლადო გუდიაშვილის სახელობის სკვერში, მხატვრული და ფოტოგრაფიული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. გამოფენა ორგანიზებული იყო საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციისა და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო 50-ზე მეტი ხელოვანის 100-ზე მეტი ნამუშევარი. გამოფენის მიზანს მხატვრების და ფოტოგრაფების საქმიანობისთვის ხელშეწყობა, მათი შემოქმედების პოპულარიზაცია, ასევე საავტორო უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. გამოფენაზე, მნახველთათვის დარიგებული იქნა საინფორმაციო ხასიათის ბარათები (ფლაერები) მოწოდებით –'ნუ დაარღვევ საავტორო უფლებას! ღონისძიებას ესწრებოდნენ ასოციაციის წევრი ავტორები, სახელმწიფო ორგანოების და საქართველოში არსებული უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე სხვა მიწვეული სტუმრები.

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციამ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა ერთობლივი სასწავლო პროგრამა წამოიწყო. „საერთაშორისო საავტორო სამართალი“ – ასე ეწოდება ღონისძიებას, რომელიც ჩიკაგოსა და კალაბრიას უნივერსიტეტებთან პარტნიორობის საფუძველზე განხორციელდა.

პროგრამაში, რომელიც უკვე დასრულდა, ჩართულნი იყვნენ კალაბრიას უნივერსიტეტის პროფესორი ფილიპ ლორენცო ფაბიო (იტალია) და ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ ჰენნეი (აშშ). პროფესორები ფაბიო და ჰენნეი წარმოადგენენ საავტორო სამართლის მსოფლიოში აღიარებულ, წამყვან ათეულში შემავალ ექსპერტებს, რომელთა შეხედულებების გათვალისწინებითაც მნიშვნელოვანწილად იქმნება საერთაშორისო პოლიტიკა ამ სფეროში.

სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულებს სერთიფიკატები გადაეცათ. სერთიფიკატების გადაცემა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში გაიმართა. სერთიფიკატების გადაცემას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სხვა მიწვეული სტუმრები.

# საქართველო კანის კინოფესტივალზეა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჯორჯია“ (ფილმები და ტურიზმი საქართველოში).

17 მაისს საქართველოს პავილიონში გაიმართება მიღება უცხოელი სტუმრებისთვის საქართველოს და ქართული კინოს პოპულარიზაციის მიზნით. კანის კინოფესტივალზე და კინობაზრობაზე სხვადასხვა მიზნით გაემგზავრნენ ასევე ქართველი პროდიუსერები ზაზა რუსაძე, ვოვა კაჭარავა და ნოშრე ჩხაიძე. კინობაზრობის ფარგლებში პროგრამა „პროდიუსერს ნეტვორკში“ ვოვა კაჭარავა და ნოშრე ჩხაიძე მონაწილეობენ. ისინი, ევროპელ კინოპროდიუსერთა ქსელის „ეივისა“ და „მარჟე დუ ფილმ ფესტივალ დე კანეს“ პარტნიორობით, რამდენიმე ევროპელ პროდიუსერთან ერთად საგანგებო სტატუსით არიან მიწვეულნი. ამ მიწვევის მიზანია, არჩეული ეივის ქსელის წევრი პროდიუსერები, შეხვდნენ სექციაში წარმოდგენილ 550 მონაწილეს, მათ შორის დამფინანსებლებს, დისტრიბუტორებსა და გაყიდვების აგენტებს, რათა ხელი შეეწყოს საერთაშორისო კოპროდუქციებს.

„ეუროპეან ფილმ პრომოუშენის“ და ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი მუშაობის შედეგად, წელს, კანის ფესტივალზე, პროდიუსერთა პროგრამაში „პროდიუსერს ონ ზი მოუვი“ ნომინირებულია ქართველი პროდიუსერი ზაზა რუსაძე. რეჟისორი და პროდიუსერი მუშაობს რამდენიმე სცენარის განვითარებაზე, მათ შორის პროექტებზე მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (სცენარი: უტა ბერია) და ნიკა მაჩაიძის ანიმაციურ ფილმზე „ულაია საბა“.

21 მაისს კანის ბაზრობაზე გაიმართება ზაზა ურუშაძის ბოლო ფილმის „მანდარინების“ ჩვენება.

მაია ბურდულის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ომი და სიყვარული“ კი წარმოდგენილია ფესტივალის სექციაში „შორტ კორნერ“.

– კანის კინობაზრობა არის მსოფლიო კინოინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პლატფორმა, სადაც წარმოდგენილია საერთაშორისო კინოინდუსტრიის წარმომადგენლები, ეროვნული კინოცენტრები და სხვა კინოინსტიტუციები. ეს არის უნიკალური პლატფორმა რომელიც საშუალებას აძლევს კინოპროფესიონალებს განავითარონ თანამშრომლობა, გააფართოვონ პროფესიული ქსელი, გააცნონ ერთმანეთს ბოლო პერიოდის მიღწევები და დასახონ სამომავლო გეგმები, – აცხადებენ ეროვნულ კინოცენტრში.

კანის წლევანდელი საერთაშორისო კინოფესტივალი 26 მაისს გამარჯვებულთა გამოვლენით და მათი დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალით დასრულდება.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასალებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# ანტონიო კონტე: უსამართლო გადაწყვეტილებამ ვერ გამტეხა

ტურინის „იუვენტუსი“ ზედიზედ მეორედ გახდა იტალიის ჩემპიონი. ამის ერთ-ერთ შემოქმედი მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტეა, რომელთან ინტერვიუ იტალიურ მედიაში გამოქვეყნდა.

***— არაერთხელ გითქვამთ, რომ ბრწყინვალე გუნდთან გიწევთ მუშაობა. თუმცა, ევროპაში წარმატების მისაღწევად შემადგენლობის მოძლიერება აუცილებლად დაგჭირდებათ.***

— ჩემი ფეხბურთელების მადლობელი ვარ, დანარჩენზე კლუბის ხელმძღვანელობამ ისაუბროს.

***— თქვენ მთავარი მწვრთნელი ხართ და ამ თემაზე აუცილებლად უნდა ისაუბროთ.***

— ხშირად ისეთ საუბრებს ვისმენ, სიცილის ხასიათზე ვდგები. ზოგიერთის მტკიცებით, „იუვენტუსს“ 2 ფეხბურთელის დამატებაც ეყოფა, რათა ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. ეს დაუფიქრებელი მსჯელობაა. ჩაიხედეთ უეფას საკლუბო კოეფიციენტების ცხრილში — ბოლო წლების განმავლობაში იტალია საგრძნობლად ჩამორჩა.

***— როგორ გგონიათ, იტალიელებს დიდხანს მოუწევთ ცდა, რათა საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას მიაღწიოს?***

— ვფიქრობ, არც ისე დიდ ხანს. მთავარი ფინანსები არაა, სწორი მიმართულებით მუშაობაა აუცილებელი. მაგალითად, მიუნხენის „ბაიერნის“ პროექტი უნდა ავიღოთ. ბავარიელთა წარმატებებს საფუძველი ლუის ვან გაალმა ჩაუყარა. ყოველგვარი წინსვლის საფუძველი თამაშის ორგანიზაციაა. ჩვენთან მოგების შემდეგ არიენ რობენმა განაცხადა, ეს გუნდური გამარჯვება იყოო. არიენი გამორჩეული ტალანტია, მაგრამ ისიც კი უპირველესად გუნდის ინტერესიდან გამომდინარე მოქმედებს. ამასთან გუნდური მოქმედება მოთამაშის ინდივიდუალურ თვისებებსაც საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს. ჩვენთან ხშირად გაიგონებთ, რომ თავდამსხმელი მოწინააღმდეგისთვის დაწესებულ პრესინგში მონაწილეობას არ უნდა იღებდეს ან „ათიანი“ მეტოქის მეურვეობისგან გათავისუფლდეს, რადგანაც მთელი თამაში მასზეა აგებული. ეს, ჩემი აზრით, მცდარი მიდგომაა.

***— ზდენეკ ზემანი ამტკიცებს, რომ „ბაიერნი“ ევროპის უძლიერესი გუნდია, თქვენ კი იტალიის საუკეთესო მწვრთნელი.***

— მიუნხენელებთან დაკავშირებით თვალსაზრისს ვეთანხმები. კომპლიმენტის მოსმენა კი ყოველთვის სასიამოვნოა, განსაკუთრებით ისეთი ცნობილი და გამოცდილი სპეციალისტისგან, როგორიც ზემანია. იგი ხომ მკაცრი გამონათქვამებითაა გამორჩეული და ტყუილუბრალოდ არავის შეაქებს.

***— თქვენ რომელ მწვრთნელსა და გუნდს გამოარჩევდით?***

— „უდინეზეს“. ფრანჩესკო გვიდოლინი ყოველ წელს სასწაულებს ახდენს. გუნდიდან მოთამაშეები მიდიან, მაგრამ უდინელები ბრწყინვალე ფეხბურთს უჩვენებენ მაყურებელს. გამოვყოფდი „ფიორენტინასაც“. ფლორენციელებმა პირველი სეზონი ჩაატარეს ვინჩენცო მონტელას მეთაურობით და წარმატებითაც. ევროპის მასშტაბით საუკეთესო იუპ ჰაინკესია. 1998 წელს მან მადრიდის „რეალთან ერთად“ მოიგო ჩემპიონთა ლიგა. დღევანდელი „ბაიერნი“ მაშინდელი „სამეფო კლუბისგან“ სრულიად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს. ეს გასაგებიცაა — ჰაინკესი ამ ხნის განმავლობაში ერთ ადგილს არ ტკეპნიდა და როგორც მწვრთნელი, წინ წავიდა.

***— მომდევნო სეზონიდან პეპ გვარდიოლა „ბაიერნს“ ჩაიბარებს. როგორ გგონიათ, გუნდი რადიკალურად შეიცვლება?***

— საინტერესო იქნება ამ პროცესისადმი თვალის მიდევნება. რაც არ უნდა იყოს, გვარდიოლა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია.

***— კიდევ რომელ მწვრთნელებს გამოარჩევდით?***

— ჟოზე მოურინიოს. ის ყოველთვის მაქსიმუმს ადნობს გუნდიდან, რომლის მწვრთნელიცაა. ავიღოთ „ინტერის“ მაგალითი. მოურინიომ „ნერაძურის“ სეზონის განმავლობაში 3 ტიტული მოაგებინა და გუნდი ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

***— რას იტყოდით „ბარსელონაზე“ — კატალონელთა ტრიუმფული ციკლი დასრულდა?***

— ბარსელონელებმა ესპანეთის პრიმერა დივიზიონი მოიგეს და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდნენ. ეს ცუდი შედეგი არაა და ციკლის დასრულებაზე საუბარი გადაჭარბებულად მეჩვენება. ერთიცაა — კატალონელთა თამაში დიდადაა დამოკიდებული ლეო მესიზე, განსაკუთრებით ბოლო ხანს.

***— თქვენზე რომელმა მწვრთნელმა მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?***

— არიგო საკიმ. მისი „მილანი“ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შევიდა. სინიორ არიგომ ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ დაამკვიდრა — გუნდური თამაში ინდივიდუალიზმზე მნიშვნელოვანია. საკიმ ბევრ რამეზე ამიხილა თვალი. ბევრი რამ ავითვისე მარჩელო ლიპისა და ჯოვანი ტრაპატონისგანაც.

***— ახლა ფეხბურთელებზეც ვთქვათ. თქვენი აზრით, რომელი მოთამაშეა უძლიერესი ფეხბურთის ისტორიაში?***

— მოდით, ბოლო 30 წლის მიხედვით ვიმსჯელოთ. დიეგო მარადონას ვერავინ შეედრება. მის წინააღმდეგ მითამაშია და არგენტინელმა სახტად დამტოვა. იგი მინდორზე სათამაშოდ ისეთი განწყობით გადიოდა, თითქოს თავის პირველ მატჩს ატარებდა. მარადონას შემდეგ მესისა და რონალდოს დავაყენებდი. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით ძლიერად „ინტერში“ ითამაშა.

***— წლევანდელ სეზონში რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?***

— „იუვენტუსის“ თითოეულ მოთამაშეს. სხვა კლუბებს რაც შეეხება — ედინსონ კავანის. იგი პრაქტიკულად იდეალური თავდამსხმელია. თანამედროვე ფეხბურთში კავანის დარი ფორვარდების აშკარა ნაკლებობაა.

***— 4 თვე დისკვალიფიცირებული იყავით. გაგიჭირდათ?***

— ძალიან. პრესაში წერდნენ, კონტეს სამწვრთნელო კარიერა დასრულდაო. ჩემმა ახლობლებმა იცია, როგორი უკომპრომისო ადამიანი ვარ, ამიტომაც უსამართლო გადაწყვეტილებამ გამაბრაზა, თუმცა, ვერ გამტეხა.

# დიდი კაცის დიდი ეპოქა დასრულდა!

ეს ოდესღაც უნდა მომხდარიყო: ერთი დიდი მწვრთნელის დიდი ეპოქა დასრულდა — აბა, სხვა რა უნდა თქვა ადამიანზე, რომელიც ერთ კლუბს 26 წელი ემსახურება? საუბარი, რა თქმა უნდა, სერ ალექს ფერგიუსონზეა.

ამ სახის სტატიებით აჭრელდა სპორტული საიტები თუ სოციალური ქსელები და არ გვგონია, იყოს ადამიანი, რომელსაც ეს უკვირს — მთავარი სალაპარაკო თემა ფერგია! თამამად შეიძლება ითქვას, რომ შოტლანდიელი სპეციალისტი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

მასზე ბევრი რამის გახსენება შეგვიძლია: მაგალითად, ის, რომ 1999 წელს მისმა „იუნაიტედმა“ „ბაიერნთან“ საოცარი ფინალი შემოაბრუნა, 2008 წელს კი გახდა პირველი ბრიტანელი მწვრთნელი, რომელმაც ლიგა მინიმუმ ორჯერ მაინც მოიგო.

სათამაშო კარიერა ლეგენდარულ სქოთს გამორჩეული ნამდვილად არ ჰქონდა, მწვრთნელობაში კი ყველაფერი შოტლანდიური „სენტ მირენიდან“ დაიწყო, სადაც 4 წელი იმუშავა და გუნდი მეორედან პირველ დივიზიონში გადაიყვანა და 1977 წელს ჩემპიონობაც კი მოაპოვებინა!

მერე „აბერდინში“ წავიდა სამუშაოდ და მართალია, 1982 წლის შოტლანდიის თასი მოიგო, თუმცა ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ერთი წლის მერე გააკეთა: 1983 წლის 11 მაისს მადრიდის „რეალს“ ჩემპიონთა თასის ფინალში 2:1 მოუგო. „აბერდინი“ პირველი შოტლანდიური კლუბი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა თასი მოიგო და კლუბის ისტორიაში ეს დღემდე უდიდეს მიღწევად რჩება.

1986 წლიდან კი უკვე „იუნაიტედს“ უდგას სათავეში, სადაც 38 ტიტული მოიპოვა ჯამში — მათ შორისაა 13 პრემიერლიგა და 2 ჩემპიონთა ლიგა.

ლეგენდარული სქოთი თავის გადაწყვეტილებას ასე ხსნის:

— ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება სწორ პერიოდში მივიღე და თანაც, მინდოდა, რაც შეიძლება ორგანიზებული და კარგი გუნდი დამეტოვებინა. მგონი მე ეს გამომივიდა: გუნდი ჩემპიონი გავხადე და ეგეც რომ არ იყოს, მკვლელის ინსტინქტსაც ნელ-ნელა იბრუნებენ, რაც ასე ძალიან გვაკლდა ბოლო პერიოდში. ასევე უნდა აღინიშნოს ახალგაზრდული აკადემიის მუშაობა, რომლის მოთამაშეებიც კლუბის მომავალს განსაზღვრავენ. გუნდისთვის პირობები მშვენიერია, „ოლდ ტრაფორდი“ კი მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი სტადიონია. დიდი სიამოვნებით გადავდივარ დირექტორის პოზიციაზე, სადაც ახალი გამოწვევები მელის. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახს იმ სიყვარულისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც ამდენი ხანი მაგრძნობინეს, ჩემი მეუღლე ქეითი კი ჩემს ცხოვრებაში საკვანძო ფიგურაა.

რა თქმა უნდა, ამ მოვლენას გვერდს ვერ აუვლიდა ფერგის ყოფილი შეგირდი კრიშტიანუ რონალდუ, რომელმაც საკუთარ „ტვიტერზე“ განაცხადა:

— ყველაფრისთვის დიდი მადლობა, ბოს!

რონალდუს გარდა სრულიად ბრიტანული და არამარტო ბრიტანული საფეხბურთო სამყარო ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა იმ შოკიდან, რომელშიც ისინი ფერგიუსონის განცხადების გამო არიან. შოტლანდიელმა სპეციალისტმა „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასვლის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა. ფერგიუსონი ამ გადაწყვეტილებას ალბათ მაინც მიიღებდა ახლო მომავალში, მაგრამ ასე მოულოდ-



ნელად მისი წასვლა მაინც გულდასაწყვეტი იყო.

გავრცელებული ინფორმაციით, „მანჩესტერმა“ უკვე იპოვა ფერგიუსონის შემცვლელი. მომავალი წლიდან „წითელ ეშმაკებს“ სავარაუდოდ დევიდ მოიესი გაწვრთნის.

ფერგიუსონის შესახებ საუბარი კი დაუსრულებლად შეიძლება. შოტლანდიელი მწვრთნელის 26-წლიანი კარიერა მართლაც რომ ბრწყინვალე გამოდგა. მისი მიღწევის გამეორება ალბათ ძალიან ძნელი იქნება და ცოტა არ იყოს, დღევანდელი გადასახედიდან შეუძლებელიც კი ჩანს: ინგლისის პრემიერლიგა — 13; ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასი — 5; „ქომუნითი შილდი“ — 10; ინგლისის ლიგის თასი — 4; უეფას ჩემპიონთა ლიგის თასი — 2; უეფას თასი — 1; უეფას სუპერ თასი — 1: მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი — 1; ინტერკონტინენტალის თასი — 1.

დაგვეთანხმებით, ძალიან შთამბეჭდავი ციფრებია!

ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერიდან“ წასვლას „ტვიტერის“ საშუალებით ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი გამოეხმაურა, მათ შორის, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი.

— ალექს ფერგიუსონის მიღწევები მანჩესტერში განსაკუთრებული და არაჩვეულებრივია. იმედი მაქვს, მისი გადადგომა ჩემს საყვარელ კლუბ „ასტონ ვილას“ ცხოვრებას შეუმსუბუქებს.

მაიკლ ოუენი:

— მის რეკორდებს ჩრდილი არასდროს მიადგება და დარწმუნებული ვარ, იგივე მიღწევის გამეორება ნებისმიერ მწვრთნელს გაუჭირდება. უბრალოდ გასაოცარია, როდესაც თვალს გადაავლებ ფერგიუსონის მიღწევებს და წარმატებებს.

შეგახსენებთ, რომ მაიკლ ოუენი სამი წლის განმავლობაში იყო ალექს ფერგიუსონის გუნდში. სწორედ „მანჩესტერიდან“ გადავიდა იგი „სტოკ სიტიში“.

„ტვიტერის საშუალებით ოფიციალური განცხადება გაავრცელეს ლონდონის „ჩელსიმ“ და ლონდონის „არსენალმა.

— „მანჩესტერიდან“ წასვლის შემდეგ „ჩელსის“ სახელით გვინდა წარმატებები ვუსურვოთ ალექს ფერგიუსონს. ის 26 წლის განმავლობაში შესანიშნავი მოწინააღმდეგე იყო.

— „არსენალის“ თითოეული წევრის სახელით გვინდა ალექს ფერგიუსონს წარმატებები და ჯანმრთელობა ვუსურვოთ.

ფერგიუსონის წასვლას პრემიერლიგის სხვადასხვა თაობის ფეხბურთელებიც გამოეხმაურნენ.

ლუის საა:

— საოცარია. სერ ალექს ფერგიუსონი წავიდა. იმედი მაქვს იგი ჯანმრთელად იქნება. ის მამაჩემის შემდეგ არის ყველაზე ძლიერი კაცი, ვისაც კი შევხვედრივარ ჩემი ცხოვრების მანძილზე. ქედს ვიხრი ფეხბურთის ღმერთის წინაშე.

ისევე, როგორც ოუენი ლუის სააც „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა. ყველა იმ ფეხბურთელს, რომელმაც „იუნაიტედის“ შემადგენლობაში ითამაშა, ალბათ არასდროს დაავიწყდება ალექს ფერგიუსონის რჩევა-დარიგებები.

ვინს კომპანი:

— ალექს ფერგიუსონი ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მწვრთნელია. 26-წლიანი წარმატებული კარიერის შემდეგ ჩვენ ყველანი ვალდებულები ვართ ფერგიუსონი სათანადოდ დავაფასოთ.

პეტერ შმეიხელი:

— იმედგაცრუებული, შოკირებული და მოწყენილი ვარ. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს ყველაფერი დღეს მოხდებოდა.

დევიდ კამერონის გარდა ფერგიუსონის წასვლის შესახებ კომენტარი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის წევრმაც გააკეთა.

ედ მაილბენდი:

— საუცხოო ადამიანი. უდიდესი მწვრთნელი. ის იყო ჩვენი პარტიის აქტიური მხარდამჭერი. სერ ალექს ფერგიუსონი არასოდეს დაგვავიწყდება.

შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ალექს სალმონდმა ასევე გააკეთა კომენტარი ფერგიუსონის წასვლის შესახებ.

— მას ჰქონდა საოცარი კარიერა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან მან მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ფერგიუსონის წასვლა ჩემთვის სურპრიზი იყო, რადგან მე ვიცი, რომ ის თავის საქმით სიამოვნებას იღებდა.

ინგლისი ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა პოლ ინსმა ასევე ვრცლად ისაუბრა ფერგიუსონის მიღწევებზე. შეგახსენებთ, რომ ინსი მანჩესტერ იუნაიტედის შემადგენლობაში 1989-96 წლებში თამაშობდა.

— თქვენ ვერასდროს ვერ ნახავთ მის მსგავს და მასზე უკეთეს მწვრთნელს. მისი სტანდარტები ძალიან მაღალი იყო. ის იყო ძალიან მომთხოვნი. ამის გამო ხშირად ბევრ ფეხბურთელს პრობლემები ექმნებოდა, განსაკუთრებით 1992-93 წლებში, როდესაც ჩვენ გვქონდა ჩავარდნა. მიუხედავად ამისა, მოვახერხეთ პრემიერლიგის მოგება. იგი ისე მექცეოდა, როგორც საკუთარ შვილს. ორი კვირის წინ იგის საუბრობდა იმის შესახებ, რომ „იუნაიტდეში“ კიდევ ორი წელი დარჩებოდა. მისი წასვლა პირადად ჩემთვის ძალიან მძიმე დარტყმაა.

უელსის ნაკრების ყოფილი წევრი კლეიტონ ბლექმორი ეხმაურება ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერიდან“ წასვლას. ბლექმორი „მანჩესტერ იუნაიტედში“ 12 წლის მანძილზე 1982-94 წლებში თამაშობდა.

— მისი წასვლის შესახებ ჭორები გავრცელდა, თუმცა თავიდან ამას ყურადღება არ მივაქციე, რადგან ვიცოდი, რომ ფერგი არ წავიდოდა. ახლა კი, როდესაც იგი მართლა წავიდა, შოკირებული ვარ. 26 წლის განმავლობაში ის ყოველ თამაშში მოსაგებად იბრძოდა. სერ ალექსი მთელი ამ წლების განმავლობაში მძიმე ტვირთს ზიდავდა. „სუონსისთან“ მატჩი ძალიან ემოციური იქნება მთელი საფეხბურთო სამყაროსთვის. ამ მატჩი ფერგიუსონს ისე გააცილებენ, როგორც ეს მან დაიმსახურა.

ოფიციალური განცხადება გაავრცელა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმაც.

# „იბერია სტარმა“ შესაძლოა არსებობა შეწყვიტოს!

დღეს, „იბერია სტარის“ სპორტულმა დირექტორმა გიორგი დარჯანიამ სპორტული მედიისთვის საგანგებო განცხადება გააკეთა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

გიორგი დარჯანია:

— თბილისში ახლახან ჩატარდა ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელიც გახსნა უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ. „იბერია სტარი“ ევროპაში მეოთხე ადგილს დასჯერდა. ელიტრაუნდის შემდეგ, რომელშიც „იბერიამ“ დაამარცხა ჩემპიონთა ლიგის 2010 წლის გამარჯვებული „ბენფიკა“ და იტალიის ჩემპიონი „ლუპარენსე“ (შეგახსენებთ, იტალიის ჩემპიონმა 2011 წელს მოიგო ჩემპიონთა ლიგა). „იბერია სტარის“ თამაში იძლეოდა სავსებით რეალურ იმედს, რომ ჩვენს გუნდს შეეძლო ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ბრძოლა. მით უმეტეს, რომ „იბერიას“ ეკუთვნის ლიგაში 10-მატჩიანი წაუგებელი სერიის რეკორდი, რომელიც ჩემპიონთა თასის მფლობელ „შარლერუასთან“ გამარჯვებით დაიწყო. თბილისში ჩატარებულმა ჩემპიონთა ლიგის ფინალმა და მისმა შედეგმა — ალმაატის „კაირათის“ გამარჯვებამ გვაჩვენა, რომ სათანადო დაფინანსებისა და მხარდაჭერის პირობებში საქართველოს ჩემპიონს რეალურად შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება და 1981 წლის 13 მაისის სიხარულის გამეორება. ამის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ „იბერია სტარი“ წლების განმავლობაში ამარცხებდა ევროპის უმდიდრეს კლუბებს. სამწუხაროდ, ფინანსური კრიზისის გამო, „იბერიამ“ ვერ მოახერხა გუნდის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება და ოთხთა ფინალში „იბერია სტარი“ მეორე შემადგენლობით წარდგა. ამავე მიზეზის გამო, „იბერია სტარს“ არ შეუძლია შემდგომში დამოუკიდებლად არსებობა. 11 წლის მანძილზე კლუბი არსებობდა მხოლოდ დამფუძნებლის ფინანსური დახმარების ხარჯზე. შედარებისთვის: მოსკოვის „დინამოს“ 15 კომპანია ასპონსორებს, „კაირათს“ — 13. არათუ ოთხთა ფინალის, ლიგის ელიტრაუნდის მონაწილე არცერთ გუნდს 10 სპონსორზე ნაკლები არ ჰყავს. ერთადერთი გამონაკლისი, სამწუხაროდ, „იბერია სტარია“. 1 ივნისს იწურება საბოლოო ვადა, როდესაც საქართველოს ჩემპიონმა „იბერია სტარმა“ უეფაში უნდა წარადგინოს განაცხადი ჩემპიონთა ლიგის მომდევნო სეზონში მონაწილეობაზე. იმ შემთხვევაში თუკი ქართველი ბიზნესმენები, ფეხბურთის უმაღლესი ლიგის კლუბები ან მუნიციპალიტეტი უახლოესი დღეების განმავლობაში არ დაინტერესდებიან დამოუკიდებელი ქართულის სპორტის ისტორიაში საუკეთესო ქართული კლუბის სპონსორობით და არ გაუჩნდებათ სურვილი, რომ ქართული დროშა ევროპული სპორტის ფლაგმანთა შორის ფრიალებდეს, კლუბი გამოცხადდება გაკოტრებულად და შეწყვეტს არსებობას.

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-უიგანი ........................ 4:1
რედინგი-სიტი .............................. 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 37 | 28 | 4 | 5 | 81-38 | 88 |
| 2.სიტი | 37 | 23 | 9 | 5 | 64-31 | 78 |
| 3.ჩელსი | 37 | 21 | 9 | 7 | 73-38 | 72 |
| 4.არსენალი | 37 | 20 | 10 | 7 | 71-37 | 70 |
| 5.ტოტენჰემი | 37 | 20 | 9 | 8 | 65-46 | 69 |
| 6.ევერტონი | 37 | 16 | 15 | 6 | 54-38 | 63 |
| 7.ლივერპული | 37 | 15 | 13 | 9 | 70-43 | 58 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 37 | 14 | 6 | 17 | 48-52 | 48 |
| 9.სუონსი | 37 | 11 | 13 | 13 | 47-48 | 46 |
| 10.ვესტ ჰემი | 37 | 11 | 10 | 16 | 41-51 | 43 |
| 11.სტოკი | 37 | 9 | 14 | 14 | 33-44 | 41 |
| 12.ნორვიჩი | 37 | 9 | 14 | 14 | 38-56 | 41 |
| 13.ნიუკასლი | 37 | 11 | 8 | 18 | 45-67 | 41 |
| 14.საუთჰემპტონი | 37 | 9 | 13 | 15 | 48-59 | 40 |
| 15.ფულემი | 37 | 10 | 10 | 17 | 47-60 | 40 |
| 16.ასტონ ვილა | 37 | 10 | 10 | 17 | 45-67 | 40 |
| 17.სანდერლენდი | 37 | 9 | 12 | 16 | 41-53 | 39 |
| 18.უიგანი | 37 | 9 | 8 | 20 | 45-71 | 35 |
| 19.რედინგი | 37 | 6 | 10 | 21 | 41-69 | 28 |
| 20.ქპრ | 37 | 4 | 13 | 20 | 30-59 | 25 |

**საფრანგეთი. თასი**

ტრუა-ბორდო .............................. 1:2

## შედეგები

**ჩეხეთი.**
**გამბრინუსლიგა**

დუკლა-ბრნო .................................... 3:2

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

ლიმერიკი-დროჰედა ........................ 0:1
სტ.პატრიკი-შემროკი ....................... 0:0

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფები**

ინდიანა-ნიუ იორკი ......................93:82
**სერიის ანგარიში: 3:1**
სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი 109:91
**სერიის ანგარიში: 3:2**

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფები**

პიტსბურგი-ოტავა ............................ 4:1
**სერიის ანგარიში: 1:0**
ლოს ანჯელესი-სან ხოსე ............... 2:0
**სერიის ანგარიში: 1:0**

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ლიტერატურის მუზეუმი იოსებ გრიშაშვილის სესიას მასპინძლობს

ეკა ირემაშვილი

**შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ ლექსმცოდნეობის VII სამეცნიერო სესიას მასპინძლობს. ორდღიანი სესია ლიტერატურის ინსტიტუტში გაიხსნა და 16 მაისს იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში გაგრძელდება.**

ქართველი პოეტის იოსებ გრიშაშვილის ნამდვილი გვარი მამულაშვილია. მისი შემოქმედება ყოველთვის იყო ქართველი საზოგადოებისთვის გამორჩეული და საყვარელი. მის ლექსთა პირველ კრებულებში „ვარდის კონა“ უმთავრესად ქალაქური ყოფა და პოეტის ინტიმური განწყობილებებია წარმოსახული, თუმცა სოციალური პრობლემებისადმი ცხოველი ინტერესიც არის. პოეტისთვის სიყვარული ბედნიერების, კეთილშობილებისა და თავდადების უშრეტი წყაროა. მიჩნეულია, რომ მისი თხზულებების მეორე ტომმა ერთგვარი ზღვარი დაუდო იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების პირველ პერიოდს. მის ლირიკაში მთავარი ადგილი დაიჭირა მოქალაქეობრივმა მოტივებმა და სულ სხვა ჟღერადობა შეიძინა სატრფიალო მოტივმაც. სამშობლოს სიყვარული მის პოეზიაში თბილისის თემასაა შერწყმული. თბილისის ისტორია, ქალაქური ყოფის კოლორიტული სურათები, მამაცი, ალალი, გულუხვი თბილისელები, ქალაქის გუშინდელი თუ დღევანდელი დღე, მისი მომავლის პერსპექტივაა გადმოცემული მის ლექსებში.

იოსებ გრიშაშვილი XX საუკუნის ქართული ვერსიფიკაციის ერთ-ერთი რეფორმატორად არის მიჩნეული, მან დიდი ამაგი დასდო ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებას ციკლით „თქვენთვის, ჩემო პატარებო“. მასვე ეკუთვნის ლიტერატურული გამოკვლევები „საიათნოვა“, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, ასევე ნაშრომები ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, მიხეილ ლერმონტოვისა და სხვა მწერლების შესახებ. მან თარგმნა სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის ბევრი კლასიკური ნიმუში, ანა ახმატოვას, სერგეი მიხალკოვის, სტეფანე შჩიპაჩოვის, ვერა ინბერის ლექსები.




ლიტერატურის ინსტიტუტი ყოველთვის ატარებს სამეცნიერო სესიებს სხვადასხვა ქართველ პოეტებსა თუ მწერლებზე და ახალ-ახალ გამოცემებსაც ბეჭდავს. დაიბეჭდა აკაკი წერეთლის თხზულებათა ოცტომეულის მესამე ტომი. ასევე განხორციელდა უნიკალური პროექტი — „ვეფხისტყაოსნის“ ექსკლუზიური გამოცემა ქართულ და უკრაინულ ენებზე. გამოცემის რედაქტორები არიან ირმა რატიანი და პაველ გრიცენკო. წიგნის პრეზენტაცია უკრაინის ექს-პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ფონდში შედგა. პროექტი განხორციელდა კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის უკრაინული ენის ინსტიტუტის დახმარებით. გამოცემის ტექსტოლოგ-შემდგენელი ირინე მოდებაძეა, კორექტორები — მირანდა ტყეშელაშვილი და ვ. ი. გენსორსკი, წინასიტყვაობის ავტორი მაკა ელბაქიძე, ილუსტრაციები საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძისა, პროექტის რეალიზებისას მნიშვნელოვანი თანადგომა გამოიჩინეს გიორგი სიგუამ, როინ მეტრეველმა, ოთარ ბაქანიძემ, პეტრე ტოლოჩკოვმა, ოლექსი ანდრიუშჩენკოვმა. პროექტს ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა ვაჟა იუკურიძემ. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის 300 წლისთავს კონფერენცია მიუძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ სადაც წარმოდგენილ იქნა „ვეფხისტყაოსნის“ საგამომცემლო პროექტი, რომელმაც მკითხველს შესთავაზა პოემის ახალი რედაქცია ბეჭდური სახით და საძიებო სისტემით აღჭურვილი მდიდარი მასალა ელექტრონული გამოცემის სახით.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გასულ წელს მიღებული და შეფასებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტების კონკურსის შედეგად, დაფინანსდა ლიტერატურის ინსტიტუტის ექვსი საგრანტო პროექტი. ფუნდამენტური კვლევები: ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი (ბილინგვური გამოცემა); ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921-1941 წწ.); მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში; ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში; აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური ოცტომეულის მეორე ნაწილის (XI-XX ტომები) გამოსაცემად მომზადება. გამოყენებითი კვლევები: ფოლკლორის არქივში დაცული ფონოჩანაწერების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დიგიტალიზაციისა და ელექტრონული სისტემატიზაციის გზით.

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) მიერ დაფინანსდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 2009 წელს წარდგენილი სამი საგრანტო პროექტი: ქართული რომანტიზმი – ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები (ხელმძღვანელი ზაზა აბზიანიძე); ქართული ლიტერატურა აღმოსავლური და დასავლური კულტურული პროცესების გზაჯვარედინზე (XVI-XVIII საუკუნეები) (ხელმძღვანელი ირმა რატიანი); ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ელექტრონული პლატფორმა (ხელმძღვანელი ელგუჯა დადუნაშვილი).

ამავე ფონდის მიერ დაფინანსდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 2008 წელს წარდგენილი სამი საგრანტო პროექტი: აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის პირველი ნაწილის (ათი ტომი) გამოსაცემად მომზადება; ხალხური პროზაული შემოქმედება (მრავალტომეული); რუსთველოლოგიის თანამედროვე პრობლემები.

ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, 2007 წელს მიღებული და შეფასებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტების კონკურსის შედეგად, დაფინანსდა ინსტიტუტის სამი საგრანტო პროექტი: პეტრე უმიკაშვილის ხელნაწერთა კოლექციის (XIX საუკუნე) ელექტრონული დამუშავება (ფოლკლორის განყოფილება, ხელმძღვანელი ე. დადუნაშვილი); ლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსი. თანამედროვე კვლევები. (ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილება, ხელმძღვანელები: ირმა რატიანი, გაგა ლომიძე); ანტისაბჭოური სიტყვიერება (ფოლკლორის განყოფილება, ხელმძღვანელი რუსუდან ჩოლოყაშვილი). სხვა დაფინანსებით: ფონდის „ღია საზოგადოება საქართველო“ მიერ დაფინანსდა პროექტი: „დემოკრატიული ღირებულებები ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში“, პროექტის დირექტორი ირმა რატიანი, პროექტის ავტორი ქეთევან ნინიძე.

საქართველოში საფრანგეთის საელჩოს და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში, ინსტიტუტში მუშავდება შემდეგი საგრანტო პროექტები:

ადრიანო მარინო „ჟანრების მითოპოეტიკა“, „კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია“ (თარგმნა და გამოცემა); ჟან-არკ მურას „ფრანკოფონური ლიტერატურა და პოსტკოლონიური თეორია“ (თარგმანი თეორია), ნატალი პიეგე-გრო „ინტერტექსტუალობის შესავალი“ (თარგმანი და გამოცემა) და რონალდ ბარტი „ზ/შ“ (თარგმანი და გამოცემა).

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს ეწვია მწერალთა, კრიტიკოსთა და მთარგმნელთა ჯგუფი სანკტ-პეტერბურგიდან. ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „ლიტერატურა — მეხსიერების ტერიტორია“ და პროფესორმა ირინა ალექსეევამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „თარჯიმნებისა და მთარგმნელების ეფექტური მომზადება“. თავის მხრივ, გასულ წელს ქართული დელეგაციაც იმყოფებოდა სანკტ-პეტერბურგში, სადაც ილია ჭავჭავაძის 175 წლის საიუბილეო ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა. ქართულ დელეგაციაში შედიოდნენ სამეცნიერო და კულტურული ინტელიგენციის წარმომადგენლები საქართველოდან. ფორუმზე მიწვეული იყვნენ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ირმა რატიანი და დირექტორის მოადგილე პროფესორი მაკა ელბაქიძე.

ლიტერატურის ინსტიტუტის „გალაკტიონის კვლევის ცენტრმა“ მოაწყო როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „კომიკოსი ტრაგედიაში“ განხილვა, სადაც მომხსენებელი ლევან ბრეგაძე იყო. ამავე ცენტრის მიერ ჩატარდა ტრადიციული მემორიალური სესია „გალაკტიონის დღე“ — კრებულის „გალაკტიონოლოგია VI“ პრეზენტაცია-განხილვა. გამოცემის სარედაქციო კოლეგია ასეთია თეიმურაზ დოიაშვილი (რედაქტორი), ლევან ბრეგაძე, გასტონ ბუაჩიძე, ნინო დარბაისელი (პასუხისმგებელი მდივანი), ირაკლი კენჭოშვილი, ემზარ კვიტაიშვილი, როსტომ ჩხეიძე.

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართულმა ასოციაციამ ლიტერატურის ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით 6 საკონკურსო ადგილზე გამოაცხადა კონკურსი ორთვიანი სტაჟირების გასავლელად 1 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაინტერესებული სტუდენტებისათვის ტარდება ლიტერატურის თეორიის წრის სხდომები, სადაც სემინარზე მოწვეული სტუმრები სტუდენტებისთვის საინტერესო თემებზე საუბრობენ. სტუდენტებისთვის ისაუბრა დავით ბარბაქაძემ თემაზე „ლიტერატურა და გლობალიზაცია“ (მოდერატორები არჩილ წერედიანი და გუბაზ ლეთოდიანი), სემინარზე მიწვეულმა მეორე სტუმარმა ირაკლი კენჭოშვილმა ისაუბრა თემაზე „პოსტმოდერნიზმის გაგება“.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მოაწყო ტრადიციული საგაზაფხულო აქცია და ინსტიტუტის ეგიდითა და მისი მონაწილეობით გამოცემული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვას უმასპინძლა.

5-6 ივნისს ჩატარდება ფოლკლორისტთა 50-ე რესპუბლიკური კონფერენცია. მონაწილეობის მსურველებს თეზისების წარდგენა 10 მაისის ჩათვლით შეეძლოთ.

სლოვენიაში დაიბეჭდა კრებული „ლომფერი მწვერვალები“ (სლოვენურ ენაზე), რომელშიც შესულია XX საუკუნის ქართული მოთხრობები. პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის ერთობლივი მხარდაჭერით

ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართა მანანა დუმბაძის წიგნის „ავღანეთი ბარონის ჭუჭრუტანიდან“ პრეზენტაცია. ეს არის დოკუმენტური პროზა, ესე. ავტორი 2011-12 წლებში მუშაობდა და ცხოვრობდა ავღანეთში, ამერიკულ დასახლებაში სახელად „ბარონი“, საიდანაც დიდი ძალისხმევის ფასად ახერხებდა ავღანური ჩანაწერების კეთებას.

ლიტერატურის ინსტიტუტმა სხდომათა დარბაზში მუდმივმოქმედი სემინარის „დისკურსის ჰორიზონტები“ ფარგლებში გაიმართა სემინარი, რომელიც ვაცლავ ჰაველის გარდაცვალების წლისთავს მიეძღვნა. მაია ნაჭყებიამ წაიკითხა მოხსენება „ვაცლავ ჰაველის დრამატურგია და ესეისტკა“.

# „შინის“ ალბომი ჩაწერილია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

უკავშირდება რენდი ბრეკერს, ჯო ლოვანოს და რამნად ვ. რაგავალს.

— პროექტის მუსიკალური კონცეფცია და სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ხელოვანების ჩართულობა ხაზს უსვამს პროექტის მასშტაბურობას და მრავალფეროვნებას, რაც თავის მხრივ კულტურათა დიალოგის ერთგვარი გამოხატულებაცაა, — ნათქვამია „ბრავო რექორდსის“ ოფიციალურ განცხადებაში.

ჯგუფის „შინ“ ახალ ალბომში შედის 11 მუსიკალური ნაწარმოები. სტუდიური ჩანაწერები „ბრავო რექორდსის“ სტუდიაში აპრილში განხორციელდა. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა მუსიკოსების იმიჯზე და ჩამოყალიბდა ალბომის დიზაინის კონცეფცია.

სიდი ალბომის პრეზენტაციას კონცერტის სახით თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით „ბრავო რექორდსი“ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 26 მაისს გამართავს და მასზე დასწრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოსაწვევებით, ხოლო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით 29 მაისს ჩატარდება განმეორებითი კონცერტი, რომელზეც დასწრების შესაძლებლობა ექნება ნებისმიერ მსურველს. ბილეთების შეძენა შესაძლებელია ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებში და მათი ფასი 15-დან 50 ლარამდეა.

კონცერტის მთავარი რეჟისორია დავით დოიაშვილი (საქართველო), მთავარი ხმის რეჟისორი — აჰიმ ჰუბერი (გერმანია), მოცეკვავეები — საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით (საქართველო) და ქორეოგრაფი — ალექსანდრა ევტიმოვა (მაკედონია).

— სიდი ალბომის შეძენა შესაძლებელია 26 მაისიდან ბრავო რექორდსის სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებში და მისი ფასი 20 ლარია, სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებია ბიბლუსის მაღაზიათა ქსელი, ლიტერატურული კაფეები, მაღაზია გურუ, აეროპორტის მაღაზიები, პრესის ჯიხურები, სუვენირების მაღაზიები რუსთაველის გამზირზე, წიგნის სახლი ბახტრიონის ქუჩაზე, დივიდი სამყარო, პარნასის ქსელი, პეკინის ქუჩაზე არსებული დისკების მაღაზია, ლესელიძეზე არსებული დისკების მაღაზია, რუსთაველისა და ამირანის კინოთეატრები, № აღნიშნულია „ბრავო რექორდსის“ განცხადებაში.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები და შესაძლოა მომავალში ჯგუფი „შინ“ გახდეს „ბრავო რექორდსის“ სიგნედ მუსიკალური ჯგუფი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფის შემდგომ გრძელვადიან მუსიკალური კარიერის მენეჯმენტს განახორციელებს მუსიკალური ბიზნეს კომპანია „ბრავო რექორდსი“.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სოფლის ორღობე; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე; 5. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 6. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 7. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. თანდაყოლილი ფერადი გამონაზარდი კანზე; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 12. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 13. უძველესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 16. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 18. მეღვინეობის სპეციალისტი; 19. თავის კანი თმებიანად; 21. სუბტროპიკული ხილი; 24. რაიმეს მიმდინარეობის სისწრაფე.

**თარაზულად:** 1. თავად-აზნაურთა ტიტული საფრანგეთში; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე პოლონელი ავტომრბოლელი; 8. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 9. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდომოლოოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. მოკლე კინო-სარეკლამო რგოლი; 15. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 20. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ს დაზვერვის ეროვნული ცენტრი; 22. „ფიატის“ მარკის მიკროლიტრაჟიანი ავტომობილი; 23. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული მგელი; 25. თევზის ძვალი; 26. მწვერვალი კავკასიონზე; 27. ქართული გაზეთი; 28. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ხახული; 2. ჩედერი; 3. რომბი; 5. თუჯი; 6. ხერესი; 8. ჯოკერი; 11. სტიპლჩეზი; 13. სპეტაკი; 14. სოკრატე; 15. ტიციანი; 19. დეფო.

**თარაზულად**: 1. ხელვაჩაური; 4. თავთუხი; 7. ხავერდი; 9. ბომონდი; 10. ისტრი; 12. აბერდინი; 16. მისტრალი; 17. მეჯლისი; 18. კროსვორდი; 20. ზოფხიტო; 21. კივი; 22. სიტროენი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ლუტი; 2. არა; 3. კავასაკი; 4. კუ; 5. საზამთრო; 6. წეკო; 7. შავთელი; 10. ფსოუ; 11. შოტლანდია; 12. ბალაგანი; 13. ყური; 16. ხოხობი; 18. ჰოკაიდო; 19. გროზნო; 21. თერგი; 24. ლახტი.

**თარაზულად**: 1. ლატავრა; 3. კოდაკი; 8. საბენა; 9. ტუფი; 14. ნოკია; 15. მუღამი; 17. ლიმა; 20. კვართი; 22. რიონი; 23. რიგელი; 25. ურო; 26. ოქრო; 27. ჭაჭა; 28. ხაბიზგინა.

# პრინცმა ჰარიმ ამერიკელი გოგონების გული დაიპყრო

ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის უმცროსმა შვილმა, პრინცმა ჰარიმ აშშ-ში ნამდვილი ფურორი მოახდინა, სადაც ვიზიტის ბოლო დღეს ატარებს. ექვსი დღის განმავლობაში, მას ყველგან




თაყვანისმცემელთა ჯგუფები ხვდებოდნენ. მათ რიგში აღმოჩნდა ისეთი „გვიგვინოსანი" პერსონა, როგორიცაა „მის აშშ" ნანა ნერივეზერი – ლამაზმანმა უკვე განაცხადა, რომ სურს პრინცს ცოლად გაყვეს, – წერს „ტელეგრაფი"

„მის აშშ-213"-ს 28 წლის პრინცი ერთი ნახვით შეუყვარდა. ის მიწვეული იყო სამეფო მიღებაზე, სადაც იმყოფებოდნენ მომღერალი შონ ლენონი და რეპერი უილიამ ადამსი.

„ის ხომ მარტოა, არა? მეც ასევე ვარ. მასთან ერთად ბედნიერი ვიქნებოდი. ის ასეთი მაღალი და სიმპატიურია. უბრალოდ, სრულყოფილებაა. ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილნი", – ოცნებობს ნანა მერივეზერი.

„ალბათ, მას არ სმენია, რომ პრინცს უკე ჰყავს თანამგზავრი – 24 წლის მოდელი, კრესიდა ბონასი", – წერს „ტელეგრაფი".

## სამგლოვიარო განცხადებები



ვუსამძიმრებთ დედა ნადიას, მეუღლე გულო ბოლაშვილს, შვილებს ელგუჯასა, ელზას, რძალ თამარ გოფოძეს, სიძე ნუკრი ელბაქიძეს, შვილიშვილებს ქეთის, გიორგის, მარის, საბას, ანის რომ გარდაიცვალა

### ანზორ ივანეს ძე დათიაშვილი

პანაშვიდი 16, 17 მაისს.
გამოსვენება შაბათს, 18 მაისს, 14 საათზე.
მისამართი გალის ქ.№10

უფალმა ნათელში ამყოფოს დიდებული პიროვნების, ბატონი ანზორის ზეცად ამაღლებული სული.

*მიქაიების ოჯახი.*



### აბელ სერგოს ძე მეტრეველი

გარდაიცვალა აბელ მეტრეველი – ცნობილი ექიმი, კარდიოლოგი, პროფესორი, რუსეთისა და ჰანოვერის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, რომელმაც თავისი შეგნებული და შინაარსიანი ცხოვრება სრულად შესწირა ჯანმრთელობის დაცვის მეტად ჰუმანურ, კეთილშობილურ საქმეს.

1957 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა ექიმმა თავისი პროფესიული მოღვაწეობა დაიწყო ჯერ ბორჯომის რაიონში, ხოლო შემდეგ განაგრძო სტავროპოლის მხარის ქ.კისლოვოდსკში, სადაც მოხდა მისი პიროვნული და პროფესიული სრულყოფა.

ორმოცი წლის მანძილზე ის იყო ქ.კისლოვოდსკის მთავარი კარდიოლოგი და კლინიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების გამგე, სსსკ-ს ჯანდაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს კონსულტანტი კავკასიის მინერალური წყლების სისტემაში შემავალი სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სხვა ობიექტებში.

გაწეული ღვაწლისთვის 1985 წელს მას მიენიჭა რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ექიმის წოდება, ფლობდა მედიცინის წარჩინებულის მედალს. გაწეული ღვაწლისათვის ის შეყვანილია ენციკლოპედიაში „რუსეთის საუკეთესო ადამიანები" და დაჯილდოებულია შესაბამისი მედლით.

ბატონი აბელ მეტრეველის მაღალპროფესიულ, ზნეობრივ და მოქალაქეობრივ დონეზე მეტყველებს ასობით და ათასობით გადარჩენილი სიცოცხლე, მისი ყოფილი პაციენტების მიერ ამ დღეებში გამოგზავნილი დეპეშები და წერილები, რომლებსაც ღებულობს მისი ოჯახი.

მიუხედავად პროფესიული თუ პიროვნული დაფასებისა, რომელიც მას რუსეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს ჰქონდა, ის, როგორც საქართველოს ჭეშმარიტად დიდი პატრიოტი, სამი წლის წინ მუდმივ საცხოვრებლად დაუბრუნდა მშობლიურ საქართველოს, თბილისს. ფიქრობდა, ხანდაზმულობის წლები შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად გაეტარებინა, მაგრამ არ დასცალდა.

ცხოვრებიდან წავიდა ღირსეული ქართველი, დამსახურებული პიროვნება, შესანიშნავი მამა და საკუთარ შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული ბაბუა.

ბატონი აბელის გარდაცვალება განუზომელი დანაკლისია ოჯახისათვის.

ბატონი აბელი მარად იცოცხლებს მათ გულებში, ვინც მას იცნობდა და მასთან მუშაობდა.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

*ოჯახი და მეგობრები.*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ამერიკაში ვერმონტის შტატში ევთანაზია დააკანონეს

ამერიკული მედიის ინფორმაციით, ამერიკაში, ვერმონტის შტატში ევთანაზიის შესახებ კანონი დაამტკიცეს. კანონს მხარი პალატის 75 წევრმა დაუჭირა.

უახლოეს დღეებში ევთანაზიის შესახებ კანონს, ვერმონტის გუბერნატორმა პიტერ შმლინმა უნდა მოაწეროს, რის შემდეგაც ვერმონტი აშშ-ში რიგით მეოთხე შტატი იქნება, რომელიც ევთანაზიის უფლებას უჭერს მხარს.

ევთანაზია წარმოადგენს პიროვნების განზრახ მოკვდინებას ამ პიროვნებისვე სასარგებლოდ. უმეტეს შემთხვევებში ევთანაზია იმიტომ ტარდება, რომ გარდაცვალების პირას მყოფი პიროვნება ამას ითხოვს.

ევთანაზია ძირითად განუკურნებელი სენით დაავადებულ ავადმყოფებს უტარდებათ. საქართველოში ევთანასია აკრძალული და დასჯადია.

ევთანაზია (ძვ. ბერძნ. კარგი, უშფოთველი სიკვდილი), სამედიცინო დახმარების გზით ადამიანის მოკვდინების პრაქტიკაა. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში ევთანაზია უკანონო ქმედებაა. იგი სადავო საკითხია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან მრავალი განსხვავებული მორალური დილემაა ასოცირებული, არამედ მისი განსაზღვრებიდან გამომდინარეც. რადიკალურად განსხვავებული



პოზიციების პირობებში, ევთანაზიის მომხრეთა აზრით, ექიმის დახმარებით გარდაცვალება, ან ექიმის მიერ თვითმკვლელობაში დახმარება არის სიკვდილის თანამგრძნობი მეთოდი. ევთანაზიის ოპონენტთათვის ეს მეთოდი მკვლელობის ერთ-ერთი ფორმაა.

ევთანაზიის განხორციელების სხვადასხვა მეთოდები არსებობს და შესაბამისად არსებობს სხვადასხვა ტერმინოლოგიებიც. ევთანაზია წარმოადგენს პიროვნების განზრახ მოკვდინებას ამ პიროვნებისვე სასარგებლოდ.

უმეტეს შემთხვევებში ევთანაზია იმიტომ ტარდება, რომ გარდაცვალების პირას მყოფი პიროვნება ამას ითხოვს, მაგრამ როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არსებობს განსხვავებული სახეებიც, როდესაც პიროვნებას ასეთი თხოვნის განხორციელება არ შეუძლია. პიროვნება, რომელსაც ევთანაზია უტარდება როგორც წესი განუკურნებელი ავადმყოფობით არის დაავადებული, მაგრამ არსებობს სხვა შემთხვევებიც, როდესაც ადამიანები ევთანაზიას ითხოვენ. ევთანაზიის განხორციელება შესაძლებელია როგორც ქმედებით(ლეტალური ინექცია), ასევე უმოქმედობით(მაგალითად საკვები მილის გაუმართაობა).

# ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი პარლამენტში გამოსვლისას ატირდა

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯულია გილარდმა პარლამენტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სოციალური უზრუნველყოფის კანონპროექტის წარდგენისას, ცრემლების შეკავება ვერ შეძლო.



გამოსვლის დროს გილარდს პარლამენტში 17 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი ახლდა თან ქალაქ ბრისბენიდან, რომელმაც პრემიერს სთხოვა ყველაფერი ილონოს ამ კანონპროექტის მისაღებად.

„როდესაც მე ამ ახალგაზრდას შევხდი, მისი მეგობრების წერილი გადმომცა, სადაც მადლობას გვიხდიან ყველაფრისათვის, რასაც ჩვენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ვაკეთებთ",-განაცხადა ავსტრალიის პრემიერმა, რომელსაც ხმა უკანკალებდა.

მისი თქმით, მთავრობის მიერ შემოთავაზებული დაზღვევის ახალი სქემა ისეთ ადამიანებს, როგორიც სენდია, მათი ოცნებების ასრულებაში დაეხმარება. სიტყვის დასრულებისას გილარდმა თავი ვერ შეიკავა და ატირდა.

თუ კანონპროექტს მიიღებენ და ახალი სადაზღვევო სისტემა ძალაში შევა, ის გავრცელდება 410 ათას შეზღუდული შესაძლებლობის ავსტრალიელზე, წერს „რია ნოვოსტი". მოსალოდნელია, რომ პროგრამა სახელმწიფო ბიუჯეტს წელიწადში 15 მილიარდი დოლარი დაუჯდება.

# „ბაშარ ასადი სირიის პრეზიდენტად 2020 წლამდე დარჩება"



„ჰეზბოლას" ტელეარხმა „ალ-მანარმა" გამოაქვეყნა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მოხსენება, რომელიც სირიაში 2014 წლის არჩევნებს ეხება. არხი იუწყება, რომ „დასავლელი წყაროების მონაცემებით, ბაშარ ასადი პრეზიდენტად 2020 წლამდე დარჩება".

ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და „ალ-მანარის" მონაცემებით, 2014 წლის არჩევნებზე ბაშარ ასადი ამომრჩეველთა ხმების 75%-ს მოიპოვებს.

ტელეკომპანიის განცხადებაში ნათქვამია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამსახური ასეთ დასკვნას აკეთებს არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებზე, არამედ საკუთარ მოხსენებებზე დაყრდნობით, რომელსაც ის სირიიდან იღებს. სამსახურის მონაცემებით, „ქვეყანაში არ არსებობს სხვა კანდიდატი, რომელიც ასადის პოპულარობას კონკურენციას გაუწევდა".

ცენტრალური სადაზვერვო სამსახური მიუთითებს, რომ პრეზიდენტის პოპულარობას ხელს უწყობს სირიის არმიის წარმატება ბრძოლის ველზე და მიიჩნევს, რომ მსგავსი სიტუაცია 2014 წლის არჩევნებამდე შენარჩუნდება.

ამ ფონზე, როგორც წინასწარ იყო ცნობილი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ სოჭში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა, სადაც სირიის შესახებ იმსჯელეს.

„განსაკუთრებულ შეშფოთებას სირიაში არსებული ვითარება იწვევს. მე და ჩემი კოლეგა ვთანხმდებით იმაზე, რომ ამ ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტის გაგრძელებას დამღუპველი შედეგი ექნება არა მხოლოდ ამ ქვეყნისათვის, არამედ მთლიანად რეგიონისათვის",-განაცხადა პუტინმა შეხვედრის შემდეგ.

შეხვედრამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ნეთანიაჰუ რუსეთს სირიისათვის ეს-300-ის საჰაერო თავდაცვითი სისტემების მიყიდვის შეწყვეტას სთხოვდა.

რუსეთის დიპლომატიურ წრეებში კი აღნიშნულის შესახებ აცხადებდნენ, რომ მოსკოვი სირიასთან ადრე დადებულ შეთანხმებას ასრულებს და ამ ქვეყანას იმ ტიპის შეარაღებას აწვდის, რომელიც თავდაცვისათვის არის განკუთვნილი.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ პუტინმა სირიასათვის ეს-300-ის მიყიდვასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოხატა: „რუსეთის მხრიდან არგუმენტები წარმოადგინეს და მათ ეს მოისმინეს",- აღნიშნა პესკოვმა, რომელსაც დეტალებზე არ უსაუბრია.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 16 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 18.30 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 ევროვიზიის II ნახევარფინალი (პ/ტრ) 01.00 მხ/ფ „სუინი თოდი:წყეული დალაქი ფლით სტრითიდან„ (ჯ.ლოუ)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 4 ნაწ. 14.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლეობანი„ 4 ნაწ. 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 5 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „იუმას მატარებელი„ (რ.ქროუ) 00.45 მხ/ფ „უნივერსალური აგენტი„ 02.20 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ოქროს ოზოზა„ II სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 მოკ/ფ „ჭა„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ჩემი ბოშები„ 13.25 კონცერტი - ანს„დიდგორი„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მოკ/ფ „მეზობლები„ 16.20 კონცერტი -კონსტანტინე პევზნერის საღამო 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მონანიება„ I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 ქრისტე აღსდგა, საქართველო (გვილოცავს ხევი) 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „შნო„ 23.35 ეთნოგრაფია 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ოქროს ოზოზა„ III სერ.

მაესტრო 7.00, 3.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00, 1.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.45, 14.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 13.00, 5.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

16 მაისი

აშშ დოლარი — 1,6413

ევრო — 2,1312

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5232

100 რუსული რუბლი — 5,2308

## ამინდის პროგნოზი 16 მაისისთვის





## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები




**უკვე გამოსულია:**

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

**გამოსაცემად მზადდება:**

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


## საქართველო კანის კინოფესტივალზეა




ეროვნული კინოცენტრი კანის კინობაზრობაზე წელსაც უკვე მეექვსედ იქნება წარმოდგენილი საქართველოს პავილიონით. პავილიონში ინდუსტრიული კუთხით იმუშავებენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი – ნანა ჯანელიძე და ევრიმაჟში საქართველოს წარმომადგენელი – თამარ ტატიშვილი. ასევე დისტრიბუციისა და ექსპორტის დეპარტამენტის უფროსი – დავით ვაშაძე და პროექტების მენეჯერი „ქეთი დანელია. ნანა ჯანელიძისთვის დირექტორის რანგში ეს პირველი ვიზიტია კანის კინოფესტივალზე. ბაზრობაზე ის კინოცენტრის პარტნიორებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრებს გეგმავს.

ბაზრობაზე კინოცენტრის შეხვედრები, ტრადიციულად, რამდენიმე მიმართულებით გაიმართება და მისი პრიორიტეტია სხვა ქვეყნების კინოფონდებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება, სამომავლო ერთობლივი პროექტების დაგეგმარება და ქართული პროექტებისათვის ალტერნატიული დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება, ევროპულ რეგიონალურ კინოფონდებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით საქმიანი ურთიერთობების გაღრმავება, ახალი ქართული ფილმების ტრეილერების გავრცელება და შეთავაზება სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებისათვის, საქართველოს პოზიცირება, როგორც გადასაღებად მიმზიდველი ქვეყანა. გავრცელდება ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი დისკი – „ფილმს ენდ თოურიზმს ინ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ანჯელინა ჯოლის მკერდი მოკვეთეს

ცნობილმა ჰოლივუდელმა მსახიობმა ანჯელია ჯოლიმ, მკერდის კიბოს განვითარების რისკის შესამცირებლად, მატეოკტომიის ოპერაცია გაიკეთა. ამის შესახებ, ვარსკვლავმა „ნიუ იორკ თაიმსთან“ საუბრისას განაცხადა.

ჯოლის თქმით, ონკოლოგიური დაავა-



დების რისკი მას მემკვიდრეობით აქვს, რადგან მისი დედა 56 წლის ასაკში სწორედ კიბოთი გარდაიცვალა.

„ჩემმა ექიმმა მითხრა, რომ მე კიბოთი დაავადების 87% საშიშროება მქონდა. პრევენციის მიზნით გადავწყვიტე რისკი შემემცირებინა“, – განაცხადა ჯოლიმ.

ქირურგიული ოპერაცია აპრილის ბოლოს ჩატარდა, მას მკერდი იმპლანტანტით შეუცვალეს. მსახიობი არ ნანობს რომ ამ ნაბიჯზე წავიდა.

მისი თქმით, მრავალი ქალისთვის მსგავსი ოპერაციის გაკეთება ძალიან რთულია. ანჯელია ჯოლის აზრით, ეს ნაბიჯი სხვა ქალებისთვის მაგალითის მიმცემი იქნება.

„მე მინდა ვუთხრა ჩემს შვილებს, რომ აღარ არსებობს საშიშროება იმისა, რომ ისინი დედას კიბოს გამო დაკარგავენ. მათ შეუძლიათ ნახონ ჩემი ნაიარევი, მაგრამ მათთვის მე ისევ უბრალოდ დედა ვარ, როგორც ეს მანამდე იყო“, – განაცხადა ჰოლივუდელმა ვარსკვლავმა.

ანჯელინა ჯოლის თქმით, მისი პარტნიორი ბრედ პიტი მთელი ამ დროის განმავლობაში მას გვერდში ედგა და ამხნევებდა.

„ჩვენ გვქონდა ისეთი მომენტებიც, როდესაც ერთად ვიცინოდით ამ ყველაფერზე“, – დასძინა მან.

ანჯელინა ჯოლი პოპულარული მედიის მიერ ის ხშირადაა აღიარებული როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალი. ხოლო მისი არაეკრანული, პირადი ცხოვრება ფართოდაა გაშუქებული. მას მიღებული აქვს სამი ოქროს გლობუსი, ორი კინომსახიობთა გილდიის პრემია და ოსკარი.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ჩივაძე ბრიტანელებმა გამოარჩიეს



პოპულარულმა ბრიტანულმა გამოცემა „დეილი მაეილმა“ ჩანახატი, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოეთის ნაკრების ყოფილ კაპიტან ალექსანდრე ჩივაძეზე გააკეთა.

მაგალითად მოყვანილია 1981 წლის 4 მარტს გამართული მატჩი, როცა „დინამომ“ „ეპტონ პარკზე“ „ვესტ ჰემი“ 4:1 გაანადგურეს და თასების თასისკენ მიმავალ გზაზე დიდი ნაბიჯი გადადგეს. ძველ გულშემატკივრებს დღესაც ეხსომებათ ჩივაძის იმ თამაშში გატანილი გოლი.

– ჩივაძე იმ საღამოს ცენტრალური მცველის ისეთ ფიგურად წარმოაჩინა, როგორიც მანამდე არ გვენახა. „ვესტ ჰემის“ ფანები განებივრებული იყვნენ ბობი მურის თამაშით, მაგრამ ჩივაძემ სხვა რამ შემოგვთავაზა – ის დაცვის ცენტრიდან წარმართავდა შეტევებს, იქ ყველაფრის ბატონ-პატრონი იყო და თან, ნახევარდაცვაშიც ელეგანტური მანერით გვევლინებოდა ორგანიზატორად. ეს სრულიად განსხვავებული იყო ბობი მურის სტილისგან, რომელიც მხოლოდ დაცვაზე იყო პასუხისმგებელი.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 16 მაისისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **ლომი** – ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ, ფულიც გექნებათ. **ქალწული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, შეხვდით მეგობრებს. **სასწორი** – ეს დღე ახლობლებს დაუთმეთ, მათ თქვენი დახმარება სჭირდებათ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, გადაღლილი ხართ. **მშვილდოსანი** – დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ. **თხის რქა** – ფულს შოულობთ, ყველაფერს იყიდით. **მერწყული** – წარმატებული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მდინარე ყვარელში; 2. მზის სისტემის პლანეტა; 3. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში, დნობის დასაჩქარებლად; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 6. ბრიტანული ყველი; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. მარნეულის ძველი სახელწოდება; 14. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 15. ყვავილების კონა; 19. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. საფეხბურთო სტადიონი ერევანში; 9. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 10. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 12. სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა, თანამედროვე ორჭიდი; 16. ფქვილით, ხახვით, ძმრითა და კვერცხით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 17. ხურდა ფული ბრაზილიაში; 18. კუთხე საქართველოში; 20. ძველი ქართული დამწერლობა; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ყველაზე წვრილი ფული ინგლისში.

*შეადგინა თ.კოპალერიშვილმა*



## „შინის“ ალბომი ჩაწერილია

*ეკა ირემაშვილი*

სამშობლოში დაბრუნებულმა ჯგუფმა „შინმა“ „ბრავო რექორდსის“ სტუდიაში ალბომის ჩაწერა დაასრულა. ჯგუფი „შინ“ 20-წლიანი გერმანიაში მოღვაწეობის შემდეგ დაუბრუნდა სამშობლოს, სადაც სხვადასხვა სამომავლო გეგმებთან ერთად ქართველ მსმენელს სთავაზობს უნიკალურ და ინოვაციურ პროექტს, რომელსაც „ბრავო რექორდსთან“ ერთად სიდი ალბომის სახით გამოსცემს და ჯგუფის სამშობლოში დაბრუნებას უძღვნის. თუკი აქამდე ჯგუფის წევრები სამშობლოში სტუმრად ჩამოდიოდნენ და მონატრებული მსმენელისთვის კონცერტებს მართავდნენ, ამიერიდან ჯგუფი „შინ“ საბოლოოდ დაბრუნდა შინ და არსად წასვლას აღარ აპირებს.

2012 წლის 10 დეკემბერს ქალაქ რიგის კონგრესჰოლში ჯგუფი „შინ“ ახალი და მეტად ორიგინალური მუსიკალური პროექტით წარდგა ლატვიელი მსმენელის წინაშე. ლატვიური პროექტის კონცეფცია აგებული იყო იმ მუსიკალურ ნაწარმოებებზე, რომლებმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს ჯგუფის თითოეული წევრის დამოკიდებულებაზე ზოგადად მუსიკის მიმართ. ანუ პრაქტიკულად ეს მუსიკალური პროექტი არის ერთგვარი მიძღვნა იმ მუსიკოსებისადმი, რომლებმაც განაპირობეს ჯგუფის „შინ“ წევრების მუსიკალური მსოფლმხედველობა და კრედო. სწორედ ამიტომაა პროექტის სახელწოდება „არაჩვეულებრივი გამოფენა“. პროექტში თავმოყრილია გია ყანჩელის, ჩიკ კორეას, ხოაკინ როდრიგოს, მაიკლ სტერნის, მაილს დევისის და რაღა თქმა უნდა, ქართული ხალხური მუსიკის მოტივები, რომლებიც „შინ“-ის წევრებმა ლიეპაის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ახლებლური ინტერპრეტაციით შესთავაზეს ლატვიელ მსმენელს. პროექტის ძირითადი ნაწილი გია




ყანჩელის მუსიკალურ თემებს მიეძღვნა, რაც ჯგუფის თითოეული წევრის მხრიდან უდიდეს პატივისცემასა და დაფასებას გამოხატავს ლეგენდარული ქართველი მაესტროს მიმართ. სიმფონიური ორკესტრის გარდა პროექტში მონაწილეობდნენ ლატვიელი ბექ ვოკალისტები და ლატვიის თანამედროვე ბალეტის მსახიობები.

ლატვიური პროექტისაგან განსხვავებით ჯგუფის „შინ“ ორიგინალურ და ინოვაციურ პროექტში ამჟამად მონაწილეობენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვატო კახიძის ხელმძღვანელობით, თბილისის კონსერვატორიის ვოკალური სექსტეტი და საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, სპეციალურად პროექტისათვის მოწვეულები არიან ცნობილი უცხოელი სესიური მუსიკოსები ხორხე პარდო – ესპანელი ფლეიტისტი, რომელიც პაკო დე ლუსიასთან და ჩიკ კორეასთან ერთად არა ერთ პროექტზე მუშაობდა, ილიას მირზაევი – თანამედროვე თურქული მუსიკის წამყვანი კომპოზიტორი, რომელსაც ასევე ეკუთვნის ამ პროექტის ყველა მუსიკალური ნაწარმოების არანჟირება, ნორმუნდ შნე – ლატვიელი ჰობოისტი და დირიჟორი, რომელიც სხვადასხვა პროექტებზე მსტრისლავ რასტრაპოვიჩთან, ჯო ზავიუნლთან, დონაჰიუსთან, ფაუსტთან მუშაობდა, რეი კაჩინსკი – ამერიკელი დრამერი, რომლის კარიერაც

გაგრძელება მე-10 გვერდზე